

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის
სანიმუშოდ შემუშავებული კაზუსების კრებული

ტესტი 1

რუსეთის ფედერაციამ სადავო გახადა კავკასიონის ქედის სამხრეთით მდებარე საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის იმ ნაწილის კუთვნილების საკითხი, რომელიც 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებულ საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში შედიოდა. საქართველოს ამ ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციასთან საზღვრის ნაწილი გადის. საქართველოს სახელმწიფოს, რუსეთის ფედერაციამ სადავო ტერიტორიის საქართველოს სახელმწიფოს მიერ დათმობა სთხოვა, რაც სუვერენიტეტის რუსეთისთვის გადაცემასთან ერთად, საქართველოს საზღვრების ცვლილებას გამოიწვევს. სანაცვლოდ, რუსეთის ფედერაციამ საქართველოს დიდი თანხა შესთავაზა და ამავდროულად, რუსეთის ფედერაციამ, მის მიერ თვითგამოცხადებული რეგიონების აღიარების უკან გამოთხოვის პირობა დადო. საქართველოს სახელმწიფო დაეთანხმა შეთავაზებას. ორმხრივი ხელშეკრულების შესაბამისად კი რუსეთმა საქართველოს გარკვეული თანხა გადაუხადა სადავო ტერიტორიების გადაცემისთვის, ასევე უკან წაიღო აღიარება.

შეესაბამება კონსტიტუციას საქართველოს სახელმწიფოს მოქმედება?

- ა. არ შეესაბამება, რადგან საქართველოს უფლება არ აქვს საკუთარი სასაზღვრო ტერიტორია მეზობელ სახელმწიფოსთან გარკვეული თანხის საფასურად გაასხვისოს. რაც შეეხება დანარჩენ ტერიტორიებს მათზე აკრძალვა არ ვრცელდება.
- ბ. არ შეესაბამება, რადგან საქართველოს უფლება არ აქვს საკუთარი ტერიტორია გარკვეული თანხის საფასურად გაასხვისოს თუნდაც ამას საფუძვლად მეზობელ სახელმწიფოსთან ორმხრივი მოლაპარაკება ედოს.
- გ. შეესაბამება, რადგან საქართველოს უფლება აქვს ნებისმიერ სახელმწიფოსთან ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად საკუთარი ტერიტორია გარკვეული თანხის საფასურად გაასხვისოს.
- დ. შეესაბამება, რადგან საქართველოს უფლება აქვს მეზობელ სახელმწიფოსთან ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად საკუთარი სასაზღვრო ტერიტორია გარკვეული თანხის საფასურად გაასხვისოს.

ტესტი 2

პირს, რომელსაც ჩამოერთვა საკუთრება აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს კონსტიტუციის მიერ დადგენილი წესების სრული დაცვით და ასევე სრული წესების დაცვით მიეცა ანაზღაურება, საგადასახადო დეკლარაციაში საგადასახადო ორგანომ ერთობლივ შემოსავალში ჩაუთვალა აღნიშნული ანაზღაურების დროს მიღებული თანხის ოდენობა და დააკისრა გადასახადი, რადგან საგადასახადო კოდექსი გადასახადის გამოანგარიშებისას, მათ შორის ასეთ შემთხვევაშიც ეფუძნებოდა პირის მიერ წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავალს.

სწორად მოიქცა საგადასახადო ორგანო საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით?

- ა. არასწორად მოიქცა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, შემოსავლის ოდენობა გადასახადის გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება.
- ბ. არასწორად მოიქცა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, აღნიშნულ შემთხვევაში მიღებული ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისაგან.
- გ. სწორად მოიქცა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, გადასახადებისაგან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონით და ამ შემთხვევაში საგადასახადო კოდექსი არ ითვალისწინებდა გათავისუფლებას.
- დ. სწორად მოიქცა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, გადასახადის გადახდა ნებისმიერ შემთხვევაში საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა.

ტესტი 3

მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გამო საქართველოს პრეზიდენტის მიერ, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი წესით „კახეთში შემოღებული იქნა საგანგებო მდგომარეობა, რაც დაემთხვა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს. საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სხვა ყველა დანარჩენ ტერიტორიაზე ჩატარებულიყო არჩევნები.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სწორად მოიქცა საქართველოს პარლამენტი?

- ა. არა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში შემოღებულია საგანგებო მდგომარეობა არჩევნები უპირობოდ ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ.

ბ. არა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

გ. დიახ, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

დ. დიახ, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნები აუცილებლად ტარდება შეუფერხებლად.

ტესტი 4

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიებზე არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“. ხულოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში - საკრებულოში მიიჩნიეს, რომ აღნიშნული კანონი არღვევდა ადგილობრივი თვითმმართველობის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებამოსილებებს, რის გამოც საკრებულომ სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა მოცემული კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო სარჩელი და დაიწყო მისი განხილვა.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ჰქონდა ასეთი უფლებამოსილება საკრებულოს და საკონსტიტუციო სასამართლოს?

ა. დიახ, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია სარჩელით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში.

ბ. არა, რადგან საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ადგილობრივი თვითმმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს.

გ. დიახ, რადგან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს საქმეს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ადგილობრივი თვითმმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.

დ. არა, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება სარჩელით მიმართონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება განიხილოს ასეთი სარჩელი კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არის.

ტესტი 5

საქართველოს მთავრობამ, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის მიზეზით, ბრძანებით დაავალა ფინანსთა სამინისტროს სხვა ყველა უწყებასთან ერთად შეამცირა საქართველოს პარლამენტის მიმდინარე ხარჯებიც, რამაც წინა წელთან შედარებით ნაკლები სახსრები შეადგინა პარლამენტისათვის. პარლამენტმა ეს გააპროტესტა.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სწორია საქართველოს მთავრობის და საქართველოს პრეზიდენტის მოქმედება?

ა. არა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია.

ბ. არა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის, მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით.

გ. დიახ, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენას, აღსრულებას, მათ შორის ხარჯების შემცირებას ან გაზრდას უზრუნველყოფს მთავრობა თავისი შეხედულებით პრეზიდენტის თანხმობით.

დ. დიახ, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შემცირება საქართველოს მთავრობას შეუძლია, მხოლოდ ეკონომიკური კრიზისის დროს.

ტესტი 6

თანამდებობაზე უვადოდ გამწესებული მოსამართლე გოგიჩაიშვილის მიერ არ დაკმაყოფილდა კონსტანტინე ზაუტაშვილის სარჩელი, რის შემდეგაც მისმა ადვოკატმა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით დადგენილი წესით,

მოითხოვა მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებასთან დაკავშირებული მოსამართლის შეფასების ანგარიშები.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით ექვემდებარება ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია გაცემას?

- ა. დიახ, რადგან მოსამართლის შეფასების ანგარიშები წარმოადგენს საჯარო ინფორმაციასა და ექვემდებარება გაცემას, იმისდა მიუხედავად, ეს მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ იქნა გამწესებული თუ არა.
- ბ. არა, რადგან მოსამართლის შეფასების ანგარიშები არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციასა და არ ექვემდებარება გაცემას, იმისდა მიუხედავად, ეს მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ იქნა გამწესებული თუ არა.
- გ. არა, რადგან მოსამართლედ უვადოდ გამწესებული პირის შეფასების ანგარიშები არის მოსამართლის პროფესიული საიდუმლოა და თან ერთვის მის პირად საქმეს.
- დ. დიახ, რადგან მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შემთხვევაში მოსამართლის შეფასების ანგარიშები საჯარო ინფორმაციაა და ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს ისინი.

ტესტი 7

აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ შექმნა უწყება მისი საზღვრების ფარგლებში გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის განახრციელების მიზნით. უწყებამ შეადგინა რუკები და შესაბამისი მასალები, რომლებიც ასახავენ აჭარის გეოგრაფიულ თავისებურებებს და პარლამენტს მიმართა აჭარის ამ უწყების აჭარის ტერიტორიაზე გეოდეზიისა და კარტოგრაფიის უფლებამოსილების ოფიციალურად აღიარების თხოვნით. აჭარის მასალებით გარკვეული საზღვრების დემარკაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ დადგენილ გეოდეზიური და კარტოგრაფიული გეგმებისაგან. საქართველოს პარლამენტის წევრთა ერთი ჯგუფი მხარს უჭერს კანონპროექტის წარმდგენ აჭარის მხარეს, რომელიც აჭარის ტერიტორიაზე გეოდეზიისა და კარტოგრაფიის უფლებამოსილებას აჭარის უწყებას ანიჭებს.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, შეუძლია თუ არა პარლამენტს ამ კანონპროექტის მიღება?

- ა. დიახ, რადგან საქართველოს პარლამენტი შეუზღუდავად წყვეტს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გადანაწილების საკითხს.
- ბ. არა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, გეოდეზია და კარტოგრაფია მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება.
- გ. დიახ, რადგან გეოდეზია და კარტოგრაფია არსებითად ადგილობრივი ხასიათის საკითხებია და განეკუთვნება ადგილობრივი თვით-მმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება.
- დ. არა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, გეოდეზია და კარტოგრაფია მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის - პრეზიდენტის განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება.

ტესტი 8

საქართველოს მოქალაქე გოგიაშვილი თავის ოჯახთან ერთად ხუთი წელი ცხოვრობდა კუბაში და მუშაობდა კუბურ მწარმოებელ კომპანიაში. მისი მეუღლე მარინა, რომელიც ასევე საქართველოს მოქალაქეა, უნივერსიტეტში ყოფნისას დააკავეს წვრილმანი ქურდობის ბრალდებით და დააპატიმრეს. გოგიაშვილმა საქართველოს საელჩოს მემგობით იურიდიული დახმარებისთვის მიმართა თავისი ცოლის დასაცავად კუბის ხელისუფლების მიერ წარდგენილი ბრალდებისაგან. საქართველოს ელჩმა უარი უთხრა დახმარებაზე, განუცხადა რა გოგიაშვილს, რომ იურიდიულ დახმარებას ვერ გაუწევდა, რადგან საქართველოსა და კუბას შორის რაიმე სამართლებრივი ხელშეკრულება არ არსებობდა, რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობა შეძლებდა კუბის სამართლებრივ საკითხებში ჩარევას.

შეესაბამება საქართველოს ელჩის რჩევა გოგიაშვილის მიმართ საქართველოს კონსტიტუციას?

- ა. დიახ, რადგან საქართველოს კონსტიტუციური ვალდებულება დაიცვას თავისი მოქალაქეები ვრცელდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ საქართველოს მოქალაქეებზე.
- ბ. დიახ, რადგან კონსტიტუციის მიხედვით, უნდა არსებობდეს საერთაშორისო ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის იმისთვის, რომ საქართველოს მთავრობამ შეძლოს მეორე ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში ჩარევა.
- გ. არა, რადგან კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.
- დ. არა, რადგან კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო მფარველობს თავისი მოქალაქის ოჯახის წევრებს მხოლოდ მაშინ, თუ მოქალაქე უცხო ქვეყანაში დასაქმებულია არაუმეტეს 10 წლის განმავლობაში.

ტესტი 9

საქართველოს პარლამენტმა საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ადამიანი 17 წლის ასაკში აღწევს სრულწლოვანებას. მას შემდეგ რაც ეს ცვლილებები შევიდა ძალაში, 17 წლის სტუდენტი ალექსი, მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. პროკურორი აპირებს მისთვის როგორც სრულწლოვანი პირისთვის ბრალის წაყენებას და გასამართლებას. სასამართლო პროცესი სავარაუდოდ გაიმართება მას შემდეგ რაც ალექსი 18 წლის გახდება. ალექსის ადვოკატი კი შუამდგომლობას აყენებს და ითხოვს ალექსის არასრულწლოვანად მიჩნევას საქმის წარმოებისას იმ საფუძველზე, რომ მისი სრულწლოვანად მიჩნევა არღვევს ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციას, რომლის ხელმომწერი მხარეც არის საქართველო.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ ალექსის შუამდგომლობასთან დაკავშირებით?

ა. სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს შუამდგომლობა რადგან საქართველოს პარლამენტს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს კონვენცია რომლის ხელმომწერ მხარესაც წარმოადგენს.

ბ. სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს შუამდგომლობა, რადგან კონვენციას უპირატესი ძალა აქვს საქართველოს შიდა კანონმდებლობასთან მიმართებაში.

გ. სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს შუამდგომლობა რადგან ალექსი იქნება 18 წლის იმ დროისთვის როცა სასამართლო გაიმართება.

დ. სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს შუამდგომლობა რადგან, კონვენციის მიხედვითაც მისმა ხელმომწერმა ქვეყანამ შეიძლება დაადგინოს სრულწლოვანების ადრე მიღწევის შესაძლებლობა.

ტესტი 10

სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით სახელმწიფომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებში მცხოვრები იმ ბავშვების დღის ცენტრების მომსახურებით სარგებლობის ხარჯები, რომლებიც დაიბადნენ 2012 წლის შემდეგ. ეს ნორმა მიღებული იქნა ბავშვის უფლებათა კონვენციის მოთხოვნების შესრულების მიზნით რომლის ხელმომწერ მხარესაც წარმოადგენს საქართველო. კერძოდ, კონვენცია განსაზღვრავს, რომ კონვენციის ხელმომწერი ქვეყნების მთავრობებმა უნდა გასცენ მატერიალური დახმარება ბავშვებისთვის ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით. მარინა მარტოხელა დედაა, რომლის შემოსავალი საარსებო მინიმუმზე გაცილებით ნაკლებია. მისი სამი შვილიდან ერთ-ერთი 2003 წელს დაიბადა, სოციალური მომსახურების დეპარტამენტში მას აცნობეს რომ მთავრობა არ აანაზღაურებს მისი შვილის მზრუნველობის დღის ცენტრების ხარჯებს. მისმა თანამშრომელმა ალანამ, რომელიც ასევე სიღარიბის მიღმა მყოფ პირს წარმოადგენს, ყავს შვილი 2005 წელს დაბადებული, მთავრობა მისი შვილის მზრუნველობის ხარჯებს იღებს საკუთარ თავზე.

იქნება მარინას მოთხოვნა წარმატებული იმის შესახებ, რომ საქართველოს კანონმდებლობა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს მას (მის შვილს) კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე?

ა. დიახ, რადგან დაბადების თარიღის ნიშნით დისკრიმინაცია პირდაპირ აკრძალულია კონვენციით.

ბ. დიახ, რადგან მართალია დაბადების თარიღის ნიშნით დისკრიმინაცია პირდაპირ არ არის აკრძალული კონვენციით, თუმცა ჩამონათვალი ღიაა და მასში იგულისხმება.

გ. არა, რადგან ამ კონკრეტული ნიშნით დისკრიმინაცია არ არის აკრძალული კონვენციით.

დ. არა, რადგან კონვენციით პირდაპირ არის დაშვებული დაბადების თარიღის მიხედვით დისკრიმინაცია.

ტესტი 11

საქართველოს მოქალაქე 13 წლის ჯანჯღავა, თავის სკოლაში ბავშვთა რელიგიური მოძრაობის ლიდერი იყო. მისი თავისებური რელიგიური შეხედულებების საფუძველზე, იგი ითხოვდა ყველა სკოლის სათამაშო მოედნის დახურვას და მათ ღია სივრცეებად გადაკეთებას, რომლებიც მხოლოდ რელიგიური მსახურებისთვის იქნებოდა გამოყენებული. ზოგიერთი სკოლა ამ რელიგიურ მოსაზრებებს არ დაეთანხმა. ჯანჯღავამ განაცხადა, რომ ჯგუფის ერთ-ერთი რელიგიური მოსაზრებაა, რომ საქართველოში მოქმედ ყველა სკოლაში ძალის გამოყენებით უნდა დაენგრიათ დახურული სათამაშო მოედნები, მათ შორის მათზე არსებული ნაგებობები, თუ რომელიმე სკოლა შეეწინააღმდეგებოდა ჯგუფის ძალისხმევას. ჯანჯღავასა და მის თანატოლებს თავად არასდროს განუხორციელებიათ ძალადობა, თუმცა ისინი ხშირად მართავენ დემონსტრაციებს და ავრცელებენ თავიანთ მსოფლმხედველობას და ახალ წევრებს იძენენ კიდევ. შეშფოთდა რა, რომ ჯანჯღავას ჯგუფი შეიძლება გაიზარდოს და საბოლოოდ საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ წესრიგს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც ყველა ბავშვს აკრძალა რელიგიური მსახურებისთვის სკოლის შენობების დანგრევაში მონაწილეობა.

არღვევს თუ არა ეს კანონი ჯანჯღავას რელიგიური თავისუფლების უფლებას, რომელიც გარანტირებულია ბავშვის უფლებათა კონვენციით?

- ა. დიახ, რადგან იგი წინასწარ ზღუდავს ჯანჯღავას რელიგიური მოსაზრებების გამოხატვის თავისუფლებას მანამ, სანამ ძალადობის რაიმე გამოვლინებას ქონდა ადგილი.
- ბ. არა, რადგან ჯანჯღავას რელიგიური აღმსარებლობა იჭრება სკოლების უფლებამოსილებაში თავად დაარეგულირონ საკუთარი საქმიანობა.
- გ. არა, რადგან ჯანჯღავას მიერ რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებით სარგებლობა საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს.
- დ. დიახ, რადგან ჯანჯღავას რელიგიური თავისუფლების უფლების შეზღუდვა არ არის დასაშვები მაშინ, როდესაც მისი რეალიზაცია ზეგავლენას ახდენს მხოლოდ საზოგადოებრივი თავმეყრის ადგილზე, როგორცაა სკოლის ეზო.

ტესტი 12

საქართველოს მოქალაქე, 16 წლის არასრულწლოვანმა - დგებუაძემ თავისი თანაკლასელის - დევიდის მაგიდიდან ჩუმად აიღო დოკუმენტები, რომლებიც შეეხებოდა დევიდის შვილების ფაქტს. დგებუაძემ ამ დოკუმენტების რამდენიმე ასლი გააკეთა თანაკლასელებში გავრცელების მიზნით და ასევე მოამზადა სოციალური ქსელში ასატვირთად მასობრივი გავრცელებისათვის. სკოლის დირექციამ შეიტყო დგებუაძის ჩანაფიქრი, მშობელთან ერთად დაიბარეს და აუკრძალეს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის გავრცელება იმ საფუძველით, რომ დაირღვეოდა დევიდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და შეილახებოდა მისი რეპუტაცია, რომელსაც იცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა. დგებუაძის მშობლის აზრით, სკოლას უფლება არ ჰქონდა მისი შვილისათვის შეეზღუდა გამოხატვის თავისუფლება, რომელიც გარანტირებულია ბავშვის უფლებათა კონვენციით.

შეუძლია თუ არა სკოლას არ მისცეს დგებუაძეს ინფორმაციის გავრცელების საშუალება კონვენციის დარღვევის გარეშე?

- ა. არა, რადგან ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებული დგებუაძის გამოხატვის თავისუფლება აბსოლუტურია.
- ბ. არა, რადგან სკოლის შეზღუდვა მეტად ფართოა; სკოლას შეუძლია არ მისცეს დგებუაძეს ასლების გავრცელების უფლება, თუმცა არ შეუძლია შეზღუდოს იგი ინფორმაცია გამოაქვეყნოს სოციალურ მედიაში.
- გ. დიახ, რადგან დგებუაძისთვის ინფორმაციის გავრცელების აკრძალვა აუცილებელია დევიდის უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- დ. დიახ, რადგან დგებუაძემ დოკუმენტები უკანონოდ მოიპოვა.

ტესტი 13

უკრაინის მოქალაქე გიორგიმ, რომელიც საქართველოში დროებითი ვიზით იმყოფებოდა, თბილისში გამარცვა ბინა და კიდევ ერთი ძარცვის ჩადენას აპირებდა. პოლიციამ, რომელსაც ეს შეატყობინეს და გიორგის აღწერილობაც მიაწოდეს, კორპუსიდან გამოსული გიორგი რომ დაინახა, გააჩერა და პოლიციის განყოფილებაში წასვლა თხოვა. გიორგის კითხვაზე რა მოტივით დააკავეს, პოლიციელებმა პასუხის გაცემაზე უარი განაცხადეს, ერთ-ერთმა პოლიციელმა კი უთხრა, რომ მალე შეიტყობდა ამის მიზეზს. პოლიციის განყოფილებაში რომ მიიყვანეს, იგი საკანში მოათავსეს მომდევნო დღეს სასამართლოში წარდგენამდე. მან იმის შესახებ, რომ ქურდობის ბრალდებით იყო დაკავებული პოლიციის მიერ გაჩერებიდან მხოლოდ 24 საათის შემდეგ შეიტყო. გიორგის მიიჩნევს, რომ დაირღვა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მოთხოვნები.

ქვემოთ ჩამოთვლილიდან, რომელი არგუმენტი ამყარებს ყველაზე უკეთ გიორგის პოზიციას?

- ა. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიხედვით, მას ქონდა უფლება ეცნობებინათ დაკავების მიზეზი და არსებული ბრალდება პოლიციის მიერ გაჩერებიდან არაუმეტეს 12 საათის განმავლობაში.
- ბ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიხედვით, მას ქონდა უფლება ეცნობებინათ დაკავების მიზეზი და არსებული ბრალდება მაშინვე, როდესაც იგი პოლიციამ გააჩერა.
- გ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიხედვით, მას ქონდა უფლება ეცნობებინათ დაკავების მიზეზი მაშინვე და არსებული ბრალდება სწრაფად.
- დ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიხედვით, მას ქონდა უფლება ეცნობებინათ დაკავების მიზეზი და არსებული ბრალდება პოლიციის განყოფილებაში დაპატიმრების მომენტში,

ვინაიდან იგი დროებითი ვიზის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

ტესტი 14

ესპანეთის სახელმწიფო გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების შესახებ პაქტის მონაწილეა. მის შემადგენლობაში შედის კატალონიის რეგიონი, სადაც დამოუკიდებლობის მსურველმა რადიკალურმა ჯგუფებმა დაიწყეს ტერორისტული აქტების მოწყობა, რასაც 3 წლის განმავლობაში 143 ადამიანი შეეწირა. ესპანეთმა კატალონიის რეგიონში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. საგანგებო მდგომარეობის შესახებ აქტის მიხედვით შეიზღუდა კონვენციის მე-7 მუხლი, რომელიც არასათანადო მოპყრობას ითვალისწინებს.

ესპანეთის პოლიციამ აქტის საფუძველზე დააკავა ტერორიზმში ეჭვმიტანილი სამი პირი. დაკითხვის დროს მათ მიმართ გამოიყენეს ფიზიკური ზემოქმედების ხერხები, მათ შორის კასტეტით ცემა, ელექტრო ენერჯის წყაროსთან შეერთება და ცივ საკანში სველ მდგომარეობაში მთელი ღამით დატოვება. აღნიშნული პირები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა აღნიშნული უფლებების შეზღუდვის კომპეტენცია პაქტის მიხედვით.

რამდენად შეესაბამება მსგავსი შეზღუდვა პაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს?

ა. შეესაბამება, რადგან მართალია პაქტი ითვალისწინებს გამონაკლის უფლებებს, რომლის შეზღუდვის უფლებაც სახელმწიფოს არ აქვს საგანგებო მდგომარეობის დროს, მაგრამ ეს მე-7 მუხლით გათვალისწინებული უფლებიდან შესაძლებელია.

ბ. შეესაბამება, რადგან პაქტის მიხედვით სახელმწიფოს საგანგებო მდგომარეობის დროს შეუძლია გადაუხვიოს პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, იმდენად რამდენადაც ამას მოითხოვს სიტუაციის სიმძაფრე, პაქტი გამონაკლისს არცერთ უფლებაზე არ ითვალისწინებს.

გ. არ შეესაბამება, რადგან მართალია პაქტის მიხედვით სახელმწიფოს საგანგებო მდგომარეობის დროს შეუძლია გადაუხვიოს პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, იმდენად რამდენადაც ამას მოითხოვს სიტუაციის სიმძაფრე, თუმცა მე-7 მუხლის შეზღუდვა ამ შემთხვევაშიც დაუშვებელია.

დ. არ შეესაბამება, რადგან პაქტის მიხედვით სახელმწიფოს საგანგებო მდგომარეობის დროს არ შეუძლია გადაუხვიოს პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს.

ტესტი 15

რელიგიური ჯგუფი „მგოსანი“ ატარებდა შეკრებას 2 დღის განმავლობაში, ქალაქის ერთ-ერთ უბანში მდებარე ეზოში. შეკრების მიზანი იყო ჯგუფი „მგოსნის“ რწმენის გაგრძელება მოქალაქეთა შორის. ქადაგება მიმდინარეობდა მიკროფონის მეშვეობით, რათა ახლომდებარე კორპუსების მაცხოვრებლებს გაეგოთ ქადაგების შინაარსი. პოლიციამ ხელი შეუშალა შეკრების გაგრძელებას. რელიგიურმა ჯგუფმა „მგოსანმა“ მიმართა სასამართლოს და განაცხადა, რომ დაირღვა მათი მშვიდობიანი შეკრების უფლება. სასამართლომ გამოარკვია, რომ ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, რაც თავის მხრივ არღვევდა სხვა პირთა უფლებებს. სასამართლოს გადაწყვეტილება ეყრდნობოდა, როგორც შიდასახელმწიფოებრივ ნორმებს, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს, რომელიც მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებას ეხება.

მართებულია სასამართლოს მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტზე მითითება?

ა. არა, ვინაიდან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მშვიდობიანი შეკრების შეზღუდვას არ აწესებს.

ბ. არა, ვინაიდან სასამართლოს არ შეუძლია დაეყრდნოს საერთაშორისო სამართლებივ ხელშეკრულებას.

გ. მართლებულია, ვინაიდან კანონით მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე შეიძლება დაწესდეს შეზღუდვები, რომლებიც საჭიროა სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

დ. მართლებულია, ვინაიდან სასამართლო ვალდებულია დაეყრდნოს საერთაშორისო სამართლებივ ხელშეკრულებას.

ტესტი 16

საქართველო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოა და ოფიციალურად აღიარებს ადამიანის უფლებათა კომიტეტს (კომიტეტი), რომელიც პაქტის შესაბამისად შეიქმნა, როგორც კომპეტენტური ორგანო ხელშემკვრელი სახელმწიფოების შეტყობინებების განსახილველად სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ პაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ. საქართველოს შესაბამისმა ორგანოებმა კომიტეტს გაუზავნეს შეტყობინება, რომლის მიხედვით სხვა მონაწილე სახელმწიფო უარს აცხადებს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები და მომუშავე საქართველოს

მოქალაქეების უფლებების აღიარებაზე. საქართველოსა და ამ სახელმწიფოს სავაჭრო ხელშეკრულების მიხედვით, არსებობს სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, რომლებიც საქართველოს შეუძლია გამოიყენოს, თუმცა ისინი მეტად კომპლექსურია და დიდი დრო სჭირდება. საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ამ პრობლემის კომიტეტისთვის გადამისამართება უფრო სწრაფად გადაჭრის მას. მეორე მონაწილე სახელმწიფომ ეს გააპროტესტა კომიტეტის წინაშე, რომელმაც საკითხი თავის განსჯადად სცნო, განაცხადა რა, რომ იგი სრულ მზადყოფნაშია, რომ ჩაერთოს სავაჭრო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენებაში საქართველოსთან ერთად და აწარმოოს მოლაპარაკებები პრობლემის გონივრულ ვადაში გადასაჭრელად.

ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელ მოქმედებას განახორციელებს კომიტეტი საქართველოს საჩივრის საპასუხოდ?

- ა. კომიტეტმა არსებითად უნდა განიხილოს საჩივარი, ვინაიდან იგი წარდგენილია ხელშემკვრელი სახელმწიფოს (საქართველოს) მიერ, რომელიც აღიარებს კომიტეტის უფლებამოსილებას ამგვარი საჩივრების განხილვაზე.
- ბ. კომიტეტი არ განიხილავს საქართველოს საჩივარს, ვინაიდან საქართველოს არ ამოუწურავს ადგილობრივი სამართლებრივი საშუალებები, რომლებიც მისთვის ხელმისაწვდომია სავაჭრო ხელშეკრულებიდან გამომდინარე.
- გ. კომიტეტს შეუძლია გამოიყენოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება და განიხილოს საჩივარი იმის მიუხედავად, შესაძლებელია თუ არა დავის სწრაფი გადაწყვეტა სავაჭრო ხელშეკრულების ფარგლებში.
- დ. კომიტეტი ვერ განიხილავს საჩივარს, რადგან მეორე ხელშემკვრელმა სახელმწიფომ გამოთქვა სურვილი აწარმოოს მოლაპარაკებები დავის გადაწყვეტაზე სავაჭრო ხელშეკრულების ფარგლებში.

ტესტი #17

შპს „მთა“-მ განცხადებით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს და მოითხოვა გარემოზე ზემოქმედების პირველი კლასის ლიცენზიის გაცემა, რაზეც სამინისტრომ, განმცხადებელს მე-3 დღეს, წერილობით აცნობა, რომ წარმოსადგენი იყო სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი ყადაღის არარსებობის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში გაიცემოდა მხოლოდ მეორე კლასის ლიცენზია. შპს „მთა“-მ ჩათვალა, რომ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს აღნიშნული წერილი უკანონო იყო და იგი გასაჩივრა სასამართლოში - მოითხოვა მისი ბათილად ცნობა. სასამართლოს სხდომაზე, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომდგენელმა იშუამდგომლა საქმის შეწყვეტის თაობაზე, იმის გამო, რომ გასაჩივრებული წერილი არ წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და შეწყვიტა საქმის წარმოება დაუშვებლობის საფუძველით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, ჩაითვლება მითითებული წერილი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად?

- ა. არა, რადგან ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს;
- ბ. არა, რადგან ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად არ ჩაითვლება ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით განხორციელებული წარმოების დროს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული წერილობითი დოკუმენტი;
- გ. დიახ, რადგან ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული წერილობითი დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი;
- დ. დიახ, რადგან ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული ნებისმიერი სახის წერილობითი დოკუმენტი;

ტესტი #18

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, სს „ენერჯია“-ს განცხადების საფუძველზე, კანონის შესაბამისად მიიღო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სიხშირის გაზრდის თაობაზე, თუმცა იმავე აქტით, სს „ენერჯია“-ს კანონის შესაბამისად დაავალა სათანადო ინფრასტრუქტურის განახლება და ამის დამადასტურებელი დოკუმენტაციის კომისიისათვის 3 თვის ვადაში წარდგენა. სს „ენერჯია“-მ დადგინდა ვადაში ვერ უზრუნველყო აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული დავალების შესრულება, რის გამოც საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოაცხადა მის მიერ მიღებული ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სს „ენერჯია“-სიხშირის გაზრდის თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, მართებულია კომისიის მოქმედება?

ა. დიახ, რადგან ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მასზე დაკისრებული ვალდებულება;

ბ. დიახ, რადგან დამოუკიდებელი კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ძალაში შესვლის დღიდან გამოაცხადოს ძალადაკარგულად აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ნებისმიერ შემთხვევაში;

გ. არა, რადგან ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი ძალადაკარგულად გამოაცხადოს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა მხოლოდ იმ შემთხვევისა, როდესაც გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი;

დ. არა, რადგან დამოუკიდებელი კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო, არცერთ შემთხვევაში არ არის უფლებამოსილი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად გამოაცხადოს ძალაში შესვლის დღიდან;

ტესტი #19

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურმა პეტრე კ.-ს, მისი განცხადების პასუხად წერილობით აცნობა, რომ სამსახური გასცემდა მშენებლობის ნებართვას პეტრე კ.-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად. პეტრე კ. არ დაეთანხმა არქიტექტურის სამსახურის დაპირებას 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით, ვინაიდან მიაჩნდა, რომ კანონმდებლობით 3 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა იყო მის მიწის ნაკვეთზე შესაძლებელი და ამის გამო, არქიტექტურის სამსახურის წერილობითი დაპირება სასამართლოში გაასაჩივრა და მოითხოვა მისი ბათილად ცნობა. სასამართლომ სარჩელი დასაშვებად ცნო და განიხილა იგი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, მართებულია სასამართლოს მოქმედება?

ა. არა, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დაპირება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, იგი არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და იგი არ გასაჩივრდება;

ბ. არა, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დაპირება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, იგი წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, თუმცა იგი არ გასაჩივრდება;

გ. დიახ, რადგან მხოლოდ ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით გამოცემული წერილობითი დაპირების მიმართ გამოიყენება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები;

დ. დიახ, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერი წერილობითი დაპირების მიმართ გამოიყენება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები;

ტესტი #20

კოლეგიურმა ორგანომ - სსიპ ენერჯეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ წერილობით მიიღო გადაწყვეტილება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. შპს „ამაგმა“ ჩათვალა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება დამოუკიდებლად არღვევდა მის უფლებებს და მისი ბათილად ცნობა მოითხოვა სასამართლოში. სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო იმ საფუძველით, რომ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, მართებულია სასამართლოს მოქმედება?

ა. არა, რადგან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება წარმოადგენს რეალაქტს და იგი საჩივრდება სასამართლოში;

ბ. არა, რადგან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;

გ. დიახ, რადგან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება არ წარმოადგენს

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;

დ. დიახ, რადგან კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული არცერთი წერილობითი დოკუმენტი არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;

ტესტი #21

ქ. რუსთავის მერმა, გამომდინარე იქედან, რომ მას არ ჰყავდა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოეცა ბრძანება სოციალურად დაცუცველთა ბაზებში რეგისტრირებული პირებისათვის კომუნალური ვაუჩერების გაცემის პირობების დადგენის თაობაზე. პირთა განსაზღვრულმა ჯგუფმა სასამართლოში მოითხოვა აღნიშნული აქტის ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით გამოცემის უფლება მერს არ ჰქონდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, საფუძველიანია მოსარჩელეთა მოთხოვნა?

ა. დიახ, რადგან აღნიშნული შინაარსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემას კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს;

ბ. დიახ, რადგან აღნიშნული შინაარსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემა დაუშვებელია, თუ პასუხისმგებელ თანამდებობის პირს არ ჰყავს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო;

გ. არა, რადგან ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემა, თუ იგი ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს ;

დ. არა, რადგან ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ნებისმიერი შინაარსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემა;

ტესტი #22

კოლეგიურმა ორგანომ - სსიპ კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, შპს „მაუწყებლობა“-ზე მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გამოსცა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე და გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ფოსტით გაუგზავნა შპს „მაუწყებლობა“-ს და სხვა ყველა დაინტერესებულ პირს. ერთ-ერთმა დაინტერესებულმა პირმა პრეტენზია გამოხატა იმის თაობაზე, რომ კოლეგიურმა ორგანომ, აღნიშნულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის კანონით დადგენილი წესი დაარღვია და ამის გამო სარჩელი შეიტანა სასამართლოში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, საფუძველიანია დაინტერესებული პირის პრეტენზია?

ა. დიახ, რადგან საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ;

ბ. დიახ, რადგან კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს;

გ. არა, რადგან ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ნებისმიერ შემთხვევაში ფოსტით ეგზავნება იმ პირებს ვის ინტერესებსაც ეხება იგი;

დ. არა, რადგან ლიცენზირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ფოსტით ეგზავნება იმ პირებს ვის ინტერესებსაც ეხება იგი;

ტესტი #23

შპს „ბლოკმა“ ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანა ქ. ქუთაისის მერთან და მოითხოვა, ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსის იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომლითაც შპს „აგურს“ უარი ეთქვა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. შპს „ბლოკმა“ ადმინისტრაციულ საჩივარში მიუთითა, რომ შპს „აგური“ მისი პარტნიორი ორგანიზაციაა ამით იგი მხარდაჭერას უცხადებს მას. ქ. ქუთაისის მერმა განიხილა საჩივარი და არ დააკმაყოფილა იგი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, სწორად მოიქცა მერი?

ა. დიახ, რადგან ადმინისტრაციული ორგანო არ დააკმაყოფილებს საჩივარს, თუ არაუფლებამოსილმა პირმა შეიტანა იგი;

ბ. დიახ, რადგან ადმინისტრაციული ორგანო არ დააკმაყოფილებს საჩივარს, თუ გასაჩივრებელია ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული აქტი;

გ. არა, რადგან ადმინისტრაციული ორგანო დააკმაყოფილებს საჩივარს, თუ გასაჩივრებელი აქტით ზიანი ადგება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს;

დ. არა, რადგან ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს საჩივარს, თუ არაუფლებამოსილმა პირმა შეიტანა იგი;

ტესტი 24

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც უარი უთხრა სს „ფაუნა“-ს გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემაზე მაღალმთიან რეგიონში ტყის მასივის აღდგენითი სამუშაოების განსახორციელებლად. სს „ფაუნა“-მ, იმის გამო, რომ აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებას აპირებდა, განცხადებით მიმართა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და მოითხოვა იმ თანამდებობის პირის ვინაობის შესახებ ინფორმაცია, რომელმაც მოამზადა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, რომლითაც სს „ფაუნა“-ს უარი ეთქვა გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემაზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაუყოვნებლივ გასცა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

ა. არა, რადგან გარემოსთან დაკავშირებით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას;

ბ. არა, რადგან თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით;

გ. დიახ, რადგან იმ საჯარო მოსამსახურის ვინაობა, რომელიც მონაწილეობდა თანამდებობის პირის მიერ, გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების პროცესში ღიაა, თუ იგი აუცილებელია საჩივრის წარსადგენად;

დ. დიახ, რადგან გარემოსთან დაკავშირებით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ღიაა და ხელმისაწვდომია ყველასათვის;

ტესტი 25

ქ. რუსთავის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ამირან ტ.-ს დაავალა უკანონოდ აშენებული შენობის დემონტაჟი 30 დღის ვადაში. იმის გამო, რომ ამირან ტ.-მ მითითებულ ვადაში არ განახორციელა შენობის დემონტაჟი ზედამხედველობის სამსახურმა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება, კანონით დადგენილი წესით უზრუნველყო უშუალო იძულებით, ისე, რომ ამირან ტ.-ს უშუალო იძულებამდე ჯარიმა არ დაკისრებია. ამასთან, აღსრულებასთან დაკავშირებული გაწეული ხარჯების ანაზღაურება მოთხოვა ამირან ტ.-ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

ა. არა, რადგან დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ნებისმიერი პირისაგან ანაზღაურება;

ბ. არა, რადგან დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ფიზიკური პირისაგან ანაზღაურება;

გ. დიახ, რადგან ადმინისტრაციული ორგანო, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს აინაზღაურებს შესაბამისი იურიდიული ან ფიზიკური პირისაგან;

დ. დიახ, რადგან ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს აინაზღაურებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანამდე პირს არ დაკისრებია ჯარიმა;

ტესტი #26

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ტარიელ კ.-ს ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა მის მიმართ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც 150 გვერდისაგან შედგებოდა, თუმცა აქტი ადრესატმა ვერ მიიღო იმის გამო, რომ იგი სახლში არ იმყოფებოდა იმ დროს, როდესაც კურიერი მივიდა შესაბამის მისამართზე. ტარიელ კ. თვითონ გამოცხადდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში და მოითხოვა მის მიმართ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის ასლის გადაცემა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტარიელ კ.-ს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლის გადაღების საფასური მოსთხოვა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

- ა. არა, რადგან ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიუღებლობის შემთხვევაში, მისი ასლის გაცემისათვის რაიმე გადასახდელი არ გადაიხდევინება;
- ბ. არა, რადგან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლის გაცემისათვის რაიმე გადასახდელი არ გადაიხდევინება, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დიდი მოცულობისაა;
- გ. დიახ, რადგან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლის გაცემისათვის გადაიხდევინება ასლის გადაღების ხარჯები, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადრესატმა მისი ბრალულობით ვერ მიიღო;
- დ. დიახ, რადგან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლის გაცემისათვის გადაიხდევინება ასლის გადაღების ხარჯები, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დიდი მოცულობისაა;

ტესტი #27

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, შპს „ენერჯი“-ს განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სიხშირის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით, ჩაატარა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და ამ მიზნით გამართა ზეპირი მოსმენა, რომლის თაობაზეც სხდომამდე 7 დღით ადრე დადგენილი წესით აცნობა ყველა დაინტერესებულ პირს და მოიწვია ისინი ზეპირ მოსმენაზე, მათ შორის შპს „ენერჯი“-ც, თუმცა განმცხადებელი - შპს „ენერჯი“, კომისიისათვის უცნობი მიზეზით ვერ დაესწრო ზეპირ მოსმენას, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ლიცენზია, კომისიამ გამოსცა ზეპირი მოსმენის გამართვიდან მე-9 დღეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, სწორად მოიქცა კომისია?

- ა. არა, რადგან ზეპირ მოსმენაში დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემა ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია;
- ბ. არა, რადგან ზეპირი მოსმენის თაობაზე დაინტერესებულ მხარეებს უნდა ეცნობოთ მის გამართვამდე 15 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად;
- გ. დიახ, რადგან თუ ზეპირ მოსმენას არ დაესწრო დაინტერესებული მხარე, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ზეპირი მოსმენის გამართვიდან ნებისმიერ დროს;
- დ. დიახ, რადგან ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დროს, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში ;

ტესტი #28

ქ. რუსთავის მერიას განცხადებით მიმართა ათმა განმცხადებელმა და ითხოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მათთვის და ქ. რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები, სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული სხვა მოქალაქეებისათვის კომუნალური ვაუჩერების გაცემასთან დაკავშირებით. ქ. რუსთავის მერიამ დააკმაყოფილა მოთხოვნა და გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ქ. რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები, სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული 450 პირისათვის, მათ შორის განმცხადებლებისათვის კომუნალური ვაუჩერის გაცემასთან დაკავშირებით, თუმცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დაინტერესებული პირებისათვის ოფიციალური გაცნობის ნაცვლად, იგი გამოქვეყნა თავის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში და განმცხადებლებისათვის იგი არ გაუგზავნია. ამასთან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებამდე, ათიდან ერთ-ერთი განმცხადებელი, რომელმაც განცხადებას პირველმა მოაწერა ხელი, მუნიციპალიტეტში გამოცხადდა და აქტის წაკითხვა ითხოვა, რაზეც ქ. რუსთავის მერიამ მას უარი უთხრა იმ საფუძველით, რომ, მითითებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ქ. რუსთავის მერია გამოაქვეყნებდა ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში და ამ გზით შეძლებდა მის გაცნობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, სწორად მოიქცა ადმინისტრაციული ორგანო?

- ა. არა, რადგან ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია საჯაროდ გამოაცხადოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- ბ. არა, რადგან ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაცნობად გადაეცემა ასევე განცხადებაში ხელმოწერ პირველ განმცხადებელს ;
- გ. დიახ, რადგან ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განმცხადებლებს დამატებით არ

გადაეცემათ;

დ. დიახ, რადგან სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს;

ტესტი #29

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, ივანე გ.-ს სარჩელის საფუძველზე, ქ. რუსთავის მერიის მიმართ, მიიღო გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა სარჩელი. წერილობით გადაწყვეტილებაში, რომელიც მხარეებს 2016 წლის 15 სექტემბერს ჩაბარდა, განმარტებული იყო მხოლოდ გასაჩივრების შესაძლებლობა, გასაჩივრების ვადა (14 დღე) და წესი, სასამართლო სადაც შეიძლება გასაჩივრება. ივანე გ.-მ, სააპელაციო სასამართლოს, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით 2017 წლის 20 იანვარს მიმართა და მიუთითა, რომ ამ ხნის განმავლობაში მან არ იცოდა სააპელაციო სასამართლოს ადგილმდებარეობა და ამის გამო მიმართა სააპელაციო სასამართლოს დაგვიანებით (14 დღიანი ვადის დარღვევით).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, დაცულია თუ არა სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა?

ა. არა, რადგან გასაჩივრების ვადის დინება დაიწყო იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილეს სასამართლოს აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, გასაჩივრების ვადა და წესი და სასამართლო სადაც შეიძლება გასაჩივრება;

ბ. არა, რადგან თუ სასამართლოს აქტით პროცესის მონაწილეს არ განემარტა, მათ შორის იმ სასამართლოს ადგილმდებარეობა, სადაც მისი გასაჩივრება შეიძლება, გასაჩივრება დაიშვება სასამართლოს აქტის ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში;

გ. დიახ, რადგან თუ სასამართლოს აქტით პროცესის მონაწილეს არ განემარტა, მათ შორის იმ სასამართლოს ადგილმდებარეობა, სადაც მისი გასაჩივრება შეიძლება, გასაჩივრება დაიშვება სასამართლოს აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში;

დ. დიახ, რადგან თუ სასამართლოს აქტით პროცესის მონაწილეს არ განემარტა, მათ შორის იმ სასამართლოს ადგილმდებარეობა, სადაც მისი გასაჩივრება შეიძლება, გასაჩივრება დაიშვება ნებისმიერ დროს;

ტესტი #30

შპს „მშენებლობამ“ განცხადებით მიმართა ქ. რუსთავის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურს, წარუდგინა კანონმდებლობით მოთხოვნილი ყველა საჭირო დოკუმენტი და ითხოვა მშენებლობის ნებართვის გაცემა, რაზეც არქიტექტურის საქალაქო სამსახურისაგან უარი მიიღო. შპს „მშენებლობამ“ არქიტექტურის საქალაქო სამსახურის უარი გაასაჩივრა სასამართლოში და მის ბათილად ცნობასთან ერთად არქიტექტურის საქალაქო სამსახურისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - მშენებლობის ნებართვის გამოცემის დავალება მოითხოვა. სასამართლომ აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნები დასაშვებად ცნო და დაიწყო საქმის განხილვა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, შპს „მშენებლობას“ ჰქონდა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - მშენებლობის ნებართვის გამოცემის დავალების მოთხოვნის უფლება?

ა. დიახ, რადგან სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით და იგი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

ბ. დიახ, რადგან სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით და იგი დასაშვებია, მიუხედავად იმისა ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის თუ სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

გ. არა, რადგან სარჩელი არ შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით იმ სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, რომელიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას უკავშირდება და ეს აქტი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

დ. არა, რადგან სარჩელი არ შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, თუ აქტის გამოცემა დაკავშირებულია სამშენებლო ნებართვის გაცემასთან და იგი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

ტესტი #31

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ, ნაწილობრივ დააკმაყოფილა შოთა ბ.-ს სარჩელი, ბათუმის მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალუბასთან დაკავშირებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ამის გამო სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო ბათუმის მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მერიას დაავალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იმავე საკითხზე. ამასთან, სასამართლომ მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი დააკისრა ბათუმის მერიას, ხოლო ნახევარი დატოვა ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით, სწორად გადაწყვიტა სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის საკითხი?

- ა. დიახ, რადგან თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯების ნახევარი;
- ბ. დიახ, რადგან თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, საპროცესო ხარჯები ნაწილდება სასამართლოს შეხედულებისამებრ;
- გ. არა, რადგან თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, მაგრამ სარჩელი სრულად არ დაკმაყოფილდა მოსარჩელე ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები;
- დ. არა, რადგან თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ყოველთვის ვალდებულია სრულად აანაზღაუროს პროცესის ხარჯები;

ტესტი #32

შემოსავლების სამსახურმა გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც შპს „მოგება“-ს საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე დაარიცხა გადასახადი. შპს „მოგება“-მ სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა შემოსავლების სამსახურის იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომლითაც მას გადასახადი დაერიცხა, რადგან მიიჩნია, რომ გადასახადის დარიცხვა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით განხორციელდა. სასამართლომ დასაშვებად სცნო აღნიშნული სარჩელი და დაადგინა, რომ მის განხილვას ორ თვეზე მეტი დასჭირდებოდა, რადგან იგი მოიცავდა განსაკუთრებით რთულ სამართლებრივ და ფაქტობრივ საკითხებს, რის გამოც მიიღო განჩინება საქმის განხილვის დამატებით ორი თვით გაგრძელების შესახებ მიუხედავად იმისა, რომ შპს „მოგება“-მ წერილობით წარუდგინა სასამართლოს თავისი პოზიცია, რომლითაც იგი საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას არ ეთანხმებოდა. საბოლოოდ, აღნიშნულ საქმეზე, სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან სამ თვეში.

შეესაბამება სასამართლოს ქმედება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს?

- ა. დიახ, რადგან საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის 2 თვიანი ვადა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს განუსაზღვრელი ვადით, სასამართლოს შეხედულების შესაბამისად;
- ბ. დიახ, რადგან საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის 2 თვიანი ვადა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვისა, თუ განსახილველი საქმე განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება ;
- გ. არა, რადგან საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს და ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია;
- დ. არა, რადგან საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის 2 თვიანი ვადა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს განუსაზღვრელი ვადით, მხოლოდ მხარეთა წინასწარი თანხმობით;

ტესტი #33

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიღო განჩინება პავლე მ.-ს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და განჩინების სარეზოლუციო ნაწილში განმარტა განჩინების 14 დღის ვადაში გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც გასაჩივრება იყო შესაძლებელი, მისი ადგილმდებარეობა და გასაჩივრების წესი. პავლე მ.-მ შუამდგომლობით მიმართა აღნიშნული განჩინების

გამომტან სასამართლოს და ითხოვა განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული განჩინების გასაჩივრების ვადის 14 დღის, 21 დღით შეცვლა და მიუთითა, რომ კანონი, ასეთი განჩინების გასაჩივრებისათვის არა 14 დღეს, არამედ 21 დღეს ითვალისწინებდა. სასამართლომ, პავლე მ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა განჩინება და მის მიერ გამოტანილ განჩინებაში შეიტანა შესწორება - ნაცვლად 14 დღისა მიუთითა 20 დღე. პავლე მ. არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოცემულ განჩინებას და მასზე შეიტანა კერძო საჩივარი, ხოლო საკასაციო სასამართლომ მიიღო და განიხილა საჩივარი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით, სწორად მოიქცა საკასაციო სასამართლო?

- ა. არა, რადგან ასეთი სახის განჩინებას სასამართლო გამოიტანს მხოლოდ საკუთარი ინიციატივით და მასზე კერძო საჩივარი არ დაიშვება;
- ბ. არა, რადგან ასეთი სახის განჩინებას სასამართლო გამოიტანს საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით საფუძველზე და მასზე კერძო საჩივარი არ დაიშვება;
- გ. დიახ, რადგან ასეთი სახის განჩინებას სასამართლო გამოიტანს საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით და მასზე კერძო საჩივარი დაიშვება;
- დ. დიახ, რადგან ასეთი სახის განჩინებას სასამართლო გამოიტანს, თუ შესწორება გასაჩივრების ვადას შეეხება და მასზე კერძო საჩივარი დაიშვება;

ტესტი #34

ლია კ.-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გამოცემული იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომლითაც მას უარი ეთქვა დევნილის სტატუსის მინიჭებაზე. სასამართლომ გამოიტანა განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ იმის გამო, რომ სარჩელს არ ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი და არც მოსარჩელეს უთხოვია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება. განჩინებით დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო სასამართლომ გამოიტანა განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით, სწორად მოიქცა სასამართლო?

- ა. არა, რადგან სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ არცერთ სარჩელზე;
- ბ. არა, რადგან ასეთ შემთხვევაში ხარვეზის დადგენა არ დაიშვება, სასამართლო პირდაპირ უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე;
- გ. დიახ, რადგან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სახელმწიფო ბაჟისაგან მოსარჩელე თავისუფლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ამას მოითხოვს;
- დ. დიახ, რადგან სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება მხოლოდ სახელმწიფო სოციალური გასაცემლის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე;

ტესტი #35

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, კახაბერ ტ.-ს სარჩელთან დაკავშირებით, რომელიც სახელმწიფო სოციალურ საკითხთან დაკავშირებით იყო აღძრული, გამოიტანა განჩინება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოდან მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ, რომელიც კანონის თანახმად, ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ხოლო მისი ასლი არ გაუგზავნა მოსარჩელეს. მოსარჩელემ პრეტენზია გამოთქვა და აღნიშნა, რომ სასამართლო ვალდებული იყო მისთვისაც გაეგზავნა განჩინების ასლი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით, მართებულია მოსარჩელე კახაბერ ტ.-ს პრეტენზია?

- ა. დიახ, რადგან ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით აღძრული სარჩელის განხილვისას, სასამართლო მხარეებს უგზავნის ნებისმიერი გადაწყვეტილების, განჩინების ან ბრძანების ასლს;
- ბ. დიახ, რადგან სასამართლო მხარეებს უგზავნის ნებისმიერი გადაწყვეტილების, განჩინების ან ბრძანების ასლს მხოლოდ სახელმწიფო სოციალურ საკითხთან დაკავშირებით აღძრული სარჩელის განხილვისას;
- გ. არა, რადგან სასამართლო მხარეებს არ უგზავნის არცერთი გადაწყვეტილების, განჩინების ან ბრძანების ასლებს, ისინი მხარეებს გადაეცემათ მხოლოდ მათი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;
- დ. არა, რადგან სასამართლო მხარეებს უგზავნის მხოლოდ იმ გადაწყვეტილების, განჩინების ან ბრძანების ასლს,

ტესტი #36

ბონდო გ.-მ განცხადებით მიმართა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული უკანონო მიწენების ლეგალიზების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რადგან კანონი უპირობოდ ითვალისწინებდა შესაბამის მისამართზე არსებული უკანონო ნაგებობების ლეგალიზაციას და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას უპირობოდ ავალდებულებდა ლეგალიზების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ბონდო გ.-ს მითითებული განცხადების საფუძველზე, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ კანონით დადგენილ ვადაში არ გამოსცა აღნიშნული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, რის გამოც ბონდო გ.მ სარჩელით მიმართა ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება ბონდო გ.-ს საკუთრებაში არსებული უკანონო შენობის ლეგალიზების შესახებ. რუსთავის რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, დაადგინა, რომ ბონდო გ. ნამდვილად შედიოდა კანონით განსაზღვრულ იმ პირთა კატეგორიაში, რომელთა საკუთრებაში არსებული უკანონო ნაგებობის ლეგალიზაციის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას ევალებოდა, რის გამოც დააკმაყოფილა ბონდო გ.-ს სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე. ამასთან, სასამართლომ გამოიტანა განჩინება, რომლითაც მოაწესრიგა სადავო საკითხი, რადგან მოცემულ შემთხვევაში საჭირო აღარ იყო საქმის გარემოებების დამატებით გამოკვლევა, აღნიშნულ საკითხზე კანონი, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ავალდებულებდა, რომელსაც შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილება არ გააჩნდა მითითებულ საკითხზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით, მართებულია სასამართლოს მოქმედება?

- ა. დიახ, რადგან სასამართლო უფლებამოსილია თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუნდაც აღნიშნული არ ითვალისწინებდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას და არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას;
- ბ. დიახ, რადგან სასამართლო უფლებამოსილია თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას და არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას;
- გ. არა, რადგან სასამართლო უფლებამოსილია თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას და იგი მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას;
- დ. არა, რადგან სასამართლო უფლებამოსილია თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას და იგი მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას;

ტესტი #37

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ, შალვა მ. სარჩელის განხილვისას, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, თავისი ინიციატივით გამოითხოვა მთელი რიგი მტკიცებულებები მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსაგან - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან, რადგან მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოდან გამოთხოვილ მტკიცებულებებს გადაამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა საქმისათვის და აღნიშნული მტკიცებულებები მართლაც გადაამწყვეტი აღმოჩნდა სასამართლოსათვის შალვა მ. სარჩელის დასაკმაყოფილებლად. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა, რომ სასამართლოს არ ჰქონდა უფლება თავისი ინიციატივით გამოეთხოვა მტკიცებულებები, რადგან მხოლოდ მხარეებს აქვთ უფლება თვითონ განსაზღვრონ სასამართლოში, საქმის განხილვასთან დაკავშირებული მტკიცებულებები და ამით უხეშად დაირღვა შეჯიბრებითობის პრინციპი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით, მართებულია სასამართლოს მოქმედება?

- ა. არა, რადგან საქმის განხილვა ხორციელდება შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით და სასამართლოს მხოლოდ მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე აქვს უფლება შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და

მტკიცებულებები;

ბ. არა, რადგან სასამართლოს, მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული საქმის განხილვისას აქვს უფლება შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები;

გ. დიახ, რადგან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, ნებისმიერი სახის დავის შემთხვევაში, სასამართლოს უფლება აქვს თავისი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები;

დ. დიახ, რადგან სასამართლოს, მხოლოდ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული საქმის განხილვისას აქვს უფლება შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები;

ტესტი #38

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, 2017 წლის 5 იანვარს, სარჩელით მიმართა პავლე ტ.-მ და მოითხოვა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის ტერიტორიული ორგანოს მიერ, 2012 წლის 10 ნოემბერს გამოცემული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. სასამართლომ, იმის გამო, რომ ეჭვი შეეპარა სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებით, სარჩელის მიღებიდან მე-10 დღეს დანიშნა განმწესრიგებელი სხდომა და სხდომაზე გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დაუშვებლობის საფუძველით. მოსარჩელე პავლე ტ. არ დაეთანხმა საქმის წარმოების შეწყვეტას და განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, ხოლო სააპელაციო სასამართლომ მიიღო წარმოებაში კერძო საჩივარი და განიხილა იგი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით, მართებულია სააპელაციო სასამართლოს მოქმედება?

ა. დიახ, რადგან საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება ექვემდებარება კერძო საჩივრით გასაჩივრებას;

ბ. დიახ, რადგან მხოლოდ განმწესრიგებელ სხდომაზე მიღებული განჩინება ექვემდებარება კერძო საჩივრით გასაჩივრებას;

გ. არა, რადგან განმწესრიგებელ სხდომაზე მიღებული საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება არ ექვემდებარება გასაჩივრებას;

დ. არა, რადგან რადგან საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება ექვემდებარება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებას;

ტესტი #39

შალვა მ.-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალაება. შალვა მ.-მ იმავე სარჩელში მოითხოვა საქმის განხილვა მხარეთა დასწრების გარეშე, რასაც თავისი შესაგებლით ასევე დაეთანხმა მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. სასამართლომ მხარეთა თხოვნა გაითვალისწინა და საქმე განიხილა და გადაწყვიტა მხარეთა დაუსწრებლად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით, მართებულია სასამართლოს მოქმედება?

ა. არა, რადგან სასამართლოს არ აქვს უფლება მხარეთა დასწრების გარეშე განხილოს და გადაწყვიტოს საქმე;

ბ. არა, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით დაუშვებელია მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვა;

გ. დიახ, რადგან სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დასწრების გარეშე;

დ. დიახ, რადგან სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მოთხოვნით საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დასწრების გარეშე;

ტესტი #40

ტარიელ ლ.-მ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ქუთაისის მერიისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება. მოსამზადებელ სხდომაზე, საქმის მასალებით დადგინდა, რომ ტარიელ ლ. მერის ბრძანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა, რის გამოც სასამართლომ განუმარტა მოსარჩელეს, რომ მას ასევე უნდა მოეთხოვა აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობა. მოსარჩელე ტარიელ ლ.-მ გაითვალისწინა სასამართლოს განმარტება და შესაბამისად დააზუსტა მოთხოვნა. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სასამართლოს აღნიშნული განმარტება შეაფასა შეჯიბრებითობის პრინციპის და ეთიკის დარღვევად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით, მართებულია სასამართლოს მოქმედება?

- ა. დიახ, რადგან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოსამართლეს შეუძლია მოსარჩელეს დაეხმაროს მოთხოვნის ჩამოყალიბებასა და დასაბუთებაში;
- ბ. დიახ, რადგან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, მოსამართლეს შეუძლია მოსარჩელეს დაეხმაროს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში;
- გ. არა, რადგან სამართალწარმოება ხორციელდება შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით და მოსამართლეს უფლება არა აქვს მხარეს რაიმე საკითხში დაეხმაროს;
- დ. არა, რადგან მოსამართლეს შეუძლია მოსარჩელეს დაეხმაროს მოთხოვნის ჩამოყალიბებასა და დასაბუთებაში მხოლოდ განმწესრიგებელ სხდომაზე;

ტესტი 41

სურსათის დისტრიბუტორმა, სასურსათო მაღაზიასთან გააფორმა ხელშეკრულება რვა ყუთი ზოსტენულის მარინადის შვიდი ყუთის ფასად მიწოდების შესახებ. დისტრიბუტორის გადაზიდვებზე პასუხისმგებელმა თანამშრომელმა სასურსათო მაღაზიას შეცდომით მხოლოდ შვიდი ყუთი მიაწოდა. სასურსათო მაღაზიამ შვიდი ყუთისაგან შემდგარი შეკვეთა მიიღო, თუმცა დაუყოვნებლივ აცნობა დისტრიბუტორს იმის შესახებ, რომ შეკვეთა არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რაოდენობას. დისტრიბუტორმა ზოსტენულის მარინადის დამატებით ერთი ყუთი მიაწოდა სასურსათო მაღაზიას, ხოლო სასურსათო მაღაზიას ზოსტენულის მარინადის არცერთი ყუთის ფასი ჯერ არ გადაუხდია.

რა თანხის მიღების უფლება აქვს სასურსათო მაღაზიისგან დისტრიბუტორს?

- ა. არაფრის, რადგან დისტრიბუტორმა დაარღვია ხელშეკრულება.
- ბ. ზოსტენულის მარინადის შვიდი ყუთის გონივრული ღირებულების, იმ ზიანის გამოკლებით, რომელიც სასურსათო მაღაზიას მიადგა დისტრიბუტორის მიერ სრული შეკვეთის მიუწოდებლობით.
- გ. ზოსტენულის მარინადის შვიდი ყუთის ფასი იმ ზიანის გამოკლებით, რომელიც სასურსათო მაღაზიას მიადგა დისტრიბუტორის მიერ სრული შეკვეთის მიუწოდებლობით, თუ ასეთი არსებობს.
- დ. ზოსტენულის მარინადის რვა ყუთის საბაზრო ფასი.

ტესტი 42

მიუხედავად იმისა, რომ ქარხნის მესაკუთრემ ხმის თანამედროვე დამზობები დაამონტაჟა, მწარმოებელი ქარხანა მცირე ხმაურს უშვებს. ქარხანა მხოლოდ სამუშაო დღეებსა და დღის საათებში მუშაობს. ქარხნის მიმდებარე საცხოვრებელი სახლის მეპატრონე, რომელიც ღამის ცვლაში მუშაობს, ვერ იძინებს სამსახურიდან შინ დაბრუნებისას ქარხნიდან გამოსული ხმაურის გამო. მიმდებარე ტერიტორიის სხვა მაცხოვრებლები ხმაურს საერთოდ ვერ ამჩნევენ.

სახლის მესაკუთრეს აქვს კანონიერი მოთხოვნის უფლება ქარხნის მესაკუთრის მიმართ ხმაურის აღკვეთის თაობაზე?

- ა. არა, ვინაიდან სახლის მესაკუთრე უჩვეულოდ მგრძობიარეა ხმაურის მიმართ დღის განმავლობაში და ქარხნის საქმიანობა არსებით ზემოქმედებას არ ახდენს მეზობელი მიწის ნაკვეთზე.
- ბ. არა, ვინაიდან ქარხანა მხოლოდ დღის განმავლობაში მუშაობს.
- გ. დიახ, ვინაიდან ხმაურის გაგონება შესაძლებელია ქარხნის ტერიტორიის მიღმა.
- დ. დიახ, ვინაიდან ქარხნის მუშაობა ხელს უშლის სახლის მესაკუთრის მიერ თავისი საკუთრების მშვიდ გამოყენებასა და სარგებლობაში.

ტესტი 43

მწარმოებლის ქარხნიდან რამდენიმე მეტრში მდებარე საწყობში სატვირთო მანქანით გადაზიდვისას ტოქსიკურმა ნივთიერებამ გამოჟონა ქუჩაში. საწარმოს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ დაიწყო გაჟონილი ნივთიერების გაწმენდითი სამუშაოები, რა დროსაც იმავე ქუჩაზე დაშვებულზე მაღალი სიჩქარით მოძრავი ავტომობილის მძღოლმა დაკარგა კონტროლი მანქანაზე და შევარდა ქუჩაზე გადმოღვრილი ტოქსიკური მასალების გუბეში. მძღოლი მანქანით საგზაო ნიშანს შეეჯახა და სხეულის დაზიანება მიიღო.

ექნება თუ არა პერსპექტივა მძღოლის მოთხოვნას მწარმოებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე?

- ა. არა, ვინაიდან მძღოლის მიერ მანქანაზე კონტროლის დაკარგვა წარმოადგენს ზიანის შუალედურ მიზეზს.

- ბ. არა, ვინაიდან მძღოლის სხეულის დაზიანება არ არის გამოწვეული მასალების ტოქსიკურობით.
- გ. დიახ, ვინაიდან მწარმოებელი პასუხისმგებელია მისი კუთვნილი ტოქსიკური მასალების გაჟონვაზე.
- დ. დიახ, ვინაიდან გაჟონვა მოხდა მწარმოებლის ქარხანასთან ახლოს.

ტესტი 44

ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მეგობრებმა, შევარდნაძემ და ჩიგოგიძემ გადაწყვიტეს ეთამაშათ თამაში სახელად „რუსული რულეტი“ ერთი ტყვიით დატენილი იარაღის გამოყენებით. თამაშის წესების მიხედვით, შევარდნაძემ იარაღი ჩიგოგიძეს მიუშვირა და მისი მოწოდების შემდეგ სასხლეტს გამოკრა. ჩიგოგიძეს ტყვია მხარში მოხვდა, რის შედეგადაც მას დასჭირდა 10 000 ლარის ღირებულების მკურნალობა.

ჩიგოგიძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა შევარდნაძისთვის მის მიერ გადახდილი მკურნალობის ხარჯების სრულად გადახდა. შევარდნაძემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო და მიუთითა, რომ ბრალი ჩიგოგიძესაც მიუძღვის, რადგან იგი მონაწილეობდა თამაშში და მისმა მოქმედებამაც ხელი შეუწყო ზიანის დადგომას.

დასაბუთებულია მოპასუხე შევარდნაძის არგუმენტი?

- ა. არა, ვინაიდან ზიანის მიმყენებელმა სრულად უნდა ანაზღაუროს ზიანი.
- ბ. არა, ვინაიდან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას დაზარალებულის ბრალი მხედველობაში არ მიიღება.
- გ. დიახ, ვინაიდან თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალითაა გამოწვეული ზიანი.
- დ. დიახ, ვინაიდან თამაშით მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება.

ტესტი 45

გაბრიაძე სავაჭრო ცენტრში ესკალატორზე ადიოდა, როდესაც გაუმართაობის გამო, ესკალატორი უცებ გაჩერდა. გაბრიაძემ წონასწორობა დაკარგა, ესკალატორის კიბეზე ჩამოვარდა და მიიღო სხეულის დაზიანება. გაბრიაძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სავაჭრო ცენტრის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

სავაჭრო ცენტრის წარმომადგენელმა შესაგებლით სარჩელი არ ცნო იმ დასაბუთებით, რომ სავაჭრო ცენტრთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ესკალატორის მომსახურებას თანამშრომელი ბახტაძე ახორციელებდა.

კანონიერია სავაჭრო ცენტრის წარმომადგენლის შუამდგომლობა?

- ა. არა, ვინაიდან სავაჭრო ცენტრი ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით.
- ბ. არა, ვინაიდან სავაჭრო ცენტრი ვალდებულია ანაზღაუროს მის ტერიტორიაზე ნებისმიერი პირისგან მესამე პირისთვის მიყენებული ზიანი.
- გ. დიახ, ვინაიდან ესკალატორის შემოწმებას ახორციელებდა ინდმეწარმე ბახტაძე.
- დ. დიახ, ვინაიდან გაბრიაძეს არ წარმოუდგენია სავაჭრო ცენტრის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

ტესტი 46

200 წლის 23 დეკემბერს, მამალაძემ ავტომანქანა "მერსედესი" მიყიდა ბერულავას და ამ მომენტისთვის ავტომობილზე მფლობელობის უფლება გადასცა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბერულავა თანხას, ნაწილ-ნაწილ გადაიხდიდა და სრულად, 2008 წლის 23 დეკემბრისთვის დაფარავდა. თანხის სრულად გადახდის შემდეგ, მამალაძე საკუთრების უფლებას გადასცემდა ბერულავას. დათქმულ ვადაში, ბერულავამ თანხა სრულად არ გადაიხადა. 2012 წლის 1 აპრილამდე, მამალაძე გამუდმებით, რამდენჯერმე სთხოვდა ბერულავას თანხის სრულად დაფარვას. ბერულავა არაფრად აგდებდა მამალაძის მოთხოვნებს. 2012 წლის 15 აპრილს, მამალაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ბერულავასთვის ავტომანქანის ღირებულების დარჩენილი ნაწილის დაკისრება და სანაცვლოდ მისთვის საკუთრების უფლების გადაცემა. ბერულავამ საკუთარი პოზიციის დაცვის მიზნით განაცხადა, რომ იგი გახდა ავტომობილის მესაკუთრე ვინაიდან მამალაძემ ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე არ მიმართა სასამართლოს.

რა გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს სასამართლომ?

- ა. ხანდაზმულობის ვადა გავიდა და ამიტომ ბერულავა არის ავტომობილის მესაკუთრე.

ბ. ბერულავა მიიჩნევა ავტომობილის მესაკუთრედ ვინაიდან იგი ფლობდა ამ ნივთს.

გ. ხანდაზმულობის ვადა არ გასულა, ვინაიდან მამალაძე გამუდმებით, რამდენჯერმე ითხოვდა თანხის დაფარვას 2012 წლის 1 აპრილამდე.

დ. 2008 წლის 23 დეკემბრამდე თანხის სრულად ვერ გადახდის გამო ბერულავამ დაკარგა მესაკუთრედ გახდომის უფლება.

ტესტი 47

გიორგობიანი ანდერძით თბილისში მდებარე საცხოვრებელი სახლი თანაბარ წილად უანდერძა მის ორ ვაჟიშვილს, ხოლო წყნეთში მდებარე აგარაკი კი თავის ქალიშვილ თამარს. ანდერძის შედგენისას, გიორგობიანი აწარმოებდა მოლაპარაკებებს, წყნეთში მიწის ნაკვეთის შეძენის თაობაზე, სადაც იგი გეგმავდა აგარაკის აშენებას. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ არ ფლობდა ქონებას წყნეთში, მან საკუთარ, 2010 წლის ივნისის ანდერძში მიუთითა, რომ „ქალიშვილ თამარს უტოვებდა აგარაკს“, რომლის აშენებასაც აპირებდა. გიორგობიანი წყნეთში ქონება შეიძინა 2010 წლის დეკემბერში და სახლის მშენებლობა დაასრულა 2014 წლის ივნისში. იგი გარდაიცვალა 2015 წლის იანვარში. სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მემკვიდრეებს შორის წამოიჭრა დავა. ძმები მოითხოვდნენ ანდერძის ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც წყნეთში მდებარე აგარაკი გადაეცემოდა მათ დას-თამარს, იმ საფუძვლით, რომ მათ მამას არ ჰქონდა უფლება ანდერძით გადაეცა ქონება, რომელსაც იგი არ ფლობდა ანდერძის შედგენისას.

სასამართლომ უნდა გააუქმოს ანდერძი იმ ნაწილში, რომლითაც მამამ თამარს აგარაკი დაუტოვა?

ა. დიახ, რადგან ანდერძი შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელსაც ფლობს მოანდერძე ანდერძის შედგენის მომენტში.

ბ. არა, რადგან გიორგობიანი ფლობდა ქონებას წყნეთში სამკვიდროს გახსნის მომენტისთვის.

გ. დიახ, ვინაიდან ორივე ვაჟს აქვს თანაბარი წილის მიღების უფლება იმ ქონებაზე, რომელსაც მათი მამა ფლობდა ანდერძის შექმნის შემდეგ.

დ. არა, ვინაიდან ანდერძის შექმნის მომენტში, თამარის მამა აპირებდა აგარაკის აშენებას.

ტესტი 48

სასამართლო გადაწყვეტილებით კოტე აფრიდონიძეს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით დაუნიშნა მხარდამჭერი უძრავი ქონების მართვის/განკარგვისა და სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად. მოგვიანებით სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება კოტე აფრიდონიძისთვის მხარდაჭერის გაუქმების შესახებ. აფრიდონიძის მხარდამჭერმა - ალექსი აფრიდონიძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა კოტე აფრიდონიძის მიერ მხარდაჭერის გაუქმების შემდეგ დადებული საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ დასაბუთებით, რომ გარიგება მხარდამჭერის თანხმობის გარეშე გაფორმდა. სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა.

კანონიერია სასამართლოს გადაწყვეტილება?

ა. არა, რადგან გარიგების დადებისას კოტე აფრიდონიძისთვის მხარდაჭერა გაუქმებულია.

ბ. დიახ, რადგან კოტე აფრიდონიძე მხარდაჭერის მიმღები პირი იყო.

გ. არა, რადგან მხარდამჭერს არა აქვს უფლება მოითხოვოს მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი პირის მიერ დადებული გარიგების ბათილად ცნობა.

დ. დიახ, რადგან მხარდამჭერს მხარდაჭერის გაუქმების შემდეგაც უნარჩუნდება მისი თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება.

ტესტი 49

ნემსაძემ ექვსი თვის ვადით სესხის ხელშეკრულებით ლორიას გადასცა 5000ლარი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მსესხებელი ყოველთვიურად გადაიხდიდა 2 პროცენტს გამსესხებლის ფულადი თანხის სარგებლობისათვის. მსესხებელმა დადგინებულ ვადაში ვერ შეძლო ვერც ძირითადი ვალის და ვერც პროცენტის გადახდა. ნემსაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ლორიასაგან, როგორც ძირითადი თანხის და შეთანხმებული პროცენტის, ასევე ვადის გადაცილებისათვის პროცენტიდან პროცენტის გადახდა. სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნები.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ პროცენტიდან პროცენტის გადახდის ნაწილში?

ა. არა, რადგან დაუშვებელია პროცენტიდან პროცენტის გადახდა.

ბ. დიახ, რადგან მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაიხადოს

პროცენტიდან პროცენტი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

გ. არა, რადგან ფულადი თანხის ვადის გადაცილებისას, პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დაიშვება მხოლოდ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

დ. დიახ, რადგან მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, შეთანხმების მიუხედავად ვალდებულია, გადაიხადოს პროცენტიდან პროცენტი.

ტესტი 50

დავით ნუცუბიძემ, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა თამარ ებრალიძესთან, მეუღლის საზღვარგარეთ მივლინებაში ყოფნისას გაასხვისა საცხოვრებელი სახლი, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრება იყო, თუმცა საჯარო რეესტრში ნუცუბიძის სახელზე იყო რეგისტრირებული. მივლინიდან დაბრუნებულმა მეუღლემ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, იმ საფუძველით, რომ სახლი მეუღლეთა თანასაკუთრება იყო, მან არ იცოდა გარიგების შესახებ და არ ეთანხმებოდა გარიგებას.

კანონიერია ებრალიძის მოთხოვნა?

ა. დიახ, რადგან საცხოვრებელი სახლი მეუღლეთა თანასაკუთრებაა და იგი ორივეს უნდა გაესხვისებინა.

ბ. არა, რადგან მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთი მეუღლის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან არ ეთანხმებოდა გარიგებას.

გ. დიახ, რადგან მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთი მეუღლის მიერ დადებული გარიგება ბათილია მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან არ ეთანხმებოდა გარიგებას.

დ. არა, რადგან მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთი მეუღლის მიერ დადებული გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება მეორე მეუღლეს არა აქვს.

ტესტი 51

ბერაია მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად სეირნობდა. მათ, მიწისქვეშა გადასვლელებში, ცეცხლსასროლი იარაღით შეაიარაღებულმა გვილაგამ გზა გადაუღობა და არასრულწლოვანის გატაცება მოინდომა. ბერაიამ გვილაგას ძლიერად ჰკრა ხელი, რის შედეგად გვილაგა წაიქცა.

გვილაგა დააკავეს და კანონიერ ძალაში შესული განაჩენით პასუხისმგებლობა დაეკისრა, ხოლო ბერაიას ქმედება აუცილებელ მოგერიებად იქნა მიჩნეული. სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით გვილაგას სხეულის მძიმე დაზიანება დაუდგინდა.

გვილაგამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება,

უნდა დაკმაყოფილდეს გვილაგას მოთხოვნა?

ა. არა, რადგან ბერაია არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელია.

ბ. არა, რადგან აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო და ამ დროს დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება.

გ. დიახ, რადგან აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედებით დამდგარი ზიანი უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა.

დ. დიახ, რადგან აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედებით ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს.

ტესტი 52

პავლემ აბრამისგან 25,000 ლარი ისესხა და სესხის უზრუნველყოფის სახით, ცნობილი მხატვრის ძვირფასი ნახატი დააგირავა. სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო გადახდის პირობები, საპროცენტო განაკვეთი, დაგირავებული ნახატის აღწერილობა და ის, რომ სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში, აბრამს შეეძლო ნახატის დატოვება ვალის სანაცვლოდ ან მისი რეალიზაცია ღია ბაზარზე და ამონაგების დატოვება. სესხის ხელშეკრულებით სხვა პირობები გათვალისწინებული არ იყო. პავლე სესხს გარკვეული პერიოდის განმავლობაში იხდიდა, თუმცა შემდეგ ვეღარ შეძლო, როდესაც გადასახდელი თანხა 20,000 ლარს შეადგენდა. აბრამმა ნახატი სარეალიზაციოდ გამოიტანა და მაქსიმალურ ფასად - 15,000 ლარად გაყიდა. შემდეგ მან უჩივლა პავლეს დარჩენილი 5,000 ლარისა და დარიცხული პროცენტის მისაღებად.

აბრამს აქვს წარმატების შანსი პავლეს წინააღმდეგ სარჩელში?

ა. არა, ვინაიდან თუ მოგირავნის დაკმაყოფილება ხდება გირავნობის საგნის რეალიზაციის გზით, მისი მოთხოვნა სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

ბ. არა, ვინაიდან ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, იმ პირობებით, რაზედაც მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდნენ.

გ. დიახ, ვინაიდან მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

დ. დიახ, ვინაიდან მოთხოვნის გირავნობით უზრუნველყოფის შემთხვევაში დამატებითი უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება დაუშვებელია.

ტესტ 53

მშენებელმა ქარდავამ შპს „მარიოსგან“ სესხად მიიღო 10 000 ლარი, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ქარდავას ბიძაშვილი ჭიაბერაშვილის მიწის ნაკვეთი. მოგვიანებით, ქარდავამ შპს „მარიოსთვის“ სარემონტო სამუშაოები შეასრულა 9,000 ლარის ღირებულების ხელშეკრულების საფუძველზე. ქარდავა სესხის შესაბამის შენატანებს იხდიდა და ამავდროულად, სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა. მალე ქარდავა მიძიმედ ავად გახდა და გარდაიცვალა. ამ დროისათვის მას სესხზე დარჩენილი გადასახადი ქონდა 6,000 ლარი. შპს „მარიომ“ აღიარა, რომ მას ქარდავასთვის 9,000 ლარი მართებდა სარემონტო სამუშაოების შესახებ შესრულებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თუმცა მან ეს თანხა დააკავა ქარდავას სამკვიდროს გახსნამდე. შპს-მ დარჩენილი ვალის - 6000 ლარის შესრულება იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციით მოითხოვა. ჭიაბერაშვილმა მიწის ნაკვეთის რეალიზაციაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ქარდავას შპს-სგან მისაღები აქვს 9000 ლარი, შესაბამისად, შპს-ს და ქარდავას შორის ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა უნდა მოხდეს სესხის 6.000 ლარის ნაშთთან.

ვის სასარგებლოდ უნდა გამოიტანოს სასამართლომ გადაწყვეტილება?

ა. ჭიაბერაშვილის სასარგებლოდ, ვინაიდან როგორც დამგირავებელი, იგი უფლებამოსილია შპს-ს წაუყენოს ის შესაგებელი ან მოთხოვნა, რომლის უფლებაც ქარდავას ექნებოდა.

ბ. ჭიაბერაშვილის სასარგებლოდ, მან ქარდავას მისცა თავისი მიწის ნაკვეთის იპოთეკის დატვირთვის უფლება უზრუნველყოფის სახით, ხოლო უზრუნველყოფა გაუქმდა ქარდავას სიკვდილის შედეგად.

გ. შპს-ს სასარგებლოდ, ვინაიდან ჭიაბერაშვილი არ იყო სარემონტო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულების მხარე და ამდენად, არ აქვს რაიმე პრეტენზიის უფლება ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

დ. შპს-ს სასარგებლოდ, ვინაიდან, მხოლოდ ქარდავას კანონიერ წარმომადგენელს აქვს გაქვითვის მოთხოვნის უფლება.

ტესტი 54

ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე ქარდავას შპს „ორიონისთვის“ 2015 წლის 10 ნოემბრამდე 20 ცალი მაგიდა უნდა დაემზადებინა. დათქმულ დროს ქარდავამ ვალდებულება ვერ შეასრულა და მაგიდები ორი თვის დაგვიანებით გადასცა.

ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობის გამო შპს-მ მოითხოვა, ვადის დარღვევისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს, ასევე ზიანის ანაზღაურება.

ქარდავამ მოთხოვნაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ კრედიტორს უფლება არ აქვს მოითხოვოს, ერთდროულად პირგასამტეხლოს გადახდა და ზიანის ანაზღაურება.

კანონიერია შპს „ორიონის“ მოთხოვნა?

ა. არა, ვინაიდან თუმოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ პირგასამტეხლოს გადახდა.

ბ. არა, ვინაიდან თუ მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში, კრედიტორ სუფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ ზიანის ანაზღაურება.

გ. დიახ, ვინაიდან თუ მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს როგორც პირგასამტეხლოს გადახდა, ისე ზიანის ანაზღაურება.

დ. დიახ, ვინაიდან თუ ნარდობის ხელშეკრულების მენარდე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში შემკვეთს უფლება აქვს, მოითხოვოს ან პირგასამტეხლოს გადახდა, ან ხელშეკრულებიდან გასვლა.

ტესტი 55

საქართველოში სამსახურებრივი დავალებით ჩამოსულმა ბარსეგოვამ, საცხოვრებლად კარანაძის ორ

სართულიანი სახლი, სამი წლის ვადით იქირავა წერილობითი ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე. იგი აპირებდა თავისი შვილების განთავსებას სახლის პირველ სართულზე მდებარე საძინებელში. სახლის მეპატრონე კარანამემ ქირავნობის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების წარმოებისას ბარსეგოვა გააფრთხილა, რომ პირველი სართული ნესტიანი იყო გრუნტის წყლების გაჟონვის გამო. სახლის მდებარეობით აღფრთოვანებული ბარსეგოვა ქირავნობის პირობებს დაეთანხმა, მიიჩნია რა, რომ ნესტი არ იქნებოდა პრობლემა. მან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა და სახლში საცხოვრებლად გადავიდა. მესამე თვის ბოლოს, ბარსეგოვას შვილებს სასუნთქი გზები დაუავადდათ და მათი მდგომარეობა მძიმდებოდა პირველ სართულზე ნესტის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ბარსეგოვას შეეძლო ბავშვების მეორე სართულზე გადაყვანა უფრო პატარა ოთახში, მან გადაწყვიტა, რომ უმჯობესი იყო სხვა საცხოვრებელი ეპოვნა.

შეუძლია თუ არა ბარსეგოვას ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა მესამე თვის ბოლოს, რაიმე პასუხისმგებლობის გარეშე?

- ა. არა ვინაიდან ხელშეკრულების დადებისას მან იცოდა ნესტის შესახებ.
- ბ. არა, ვინაიდან შეეძლო ნესტის პრობლემის თავიდან არიდება ბავშვების მეორე სართულზე მდებარე საძინებელში გადაყვანით.
- გ. დიახ, ვინაიდან ხელშეკრულების დადებისას კარანამემ იცოდა, რომ ბავშვებს ნესტის პრობლემა შეექმნებოდათ.
- დ. დიახ, ვინაიდან ნესტის პრობლემამ მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა მისი შვილების ჯანმრთელობას.

ტესტი 56

მყიდველი დათანხმდა გამყიდველის სახლის შეძენას 250,000 აშშ დოლარად „იმ პირობით, რომ მყიდველს დაუმტკიცდებოდა იპოთეკური სესხი 30 დღის ვადაში“. ოცდაათი დღის შემდეგ, მყიდველმა უთხრა გამყიდველს, რომ სახლს ვედარ იყიდდა, რადგან ვერ აიღო იპოთეკური სესხი. გამყიდველმა მყიდველს კითხა, სცადა თუ არა მან საერთოდ იპოთეკური სესხის მიღება, რაზეც მყიდველმა უპასუხა: „ძალიან დაკავებული ვიყავი და დრო არ მქონდა იპოთეკური სესხის ასაღებად“.

თუ გამყიდველი მყიდველს ხელშეკრულების დარღვევის გამო უჩივლებს, დაადგენს თუ არა სასამართლო საგარაუდოდ, რომ მყიდველმა ხელშეკრულება დაარღვია?

- ა. არა, ვინაიდან მყიდველის მეორე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება დამოკიდებული იყო წინაპირობაზე, რომელსაც ადგილი არ ქონია.
- ბ. არა, ვინაიდან დაპირება შეუსრულებელი იყო, რადგან მყიდველი არ იყო ვალდებული რაიმე ელონა.
- გ. დიახ, ვინაიდან იგულისხმებოდა დაპირება, რომ მყიდველი გონივრულ ზომებს მიიღებდა იპოთეკური სესხის მისაღებად.
- დ. დიახ, ვინაიდან შეთანხმების გონივრული ინტერპრეტაციით, მყიდველს ქონდა სახლის 30 დღის ვადაში 250,000 აშშ დოლარად შეძენის ვალდებულება.

ტესტი 57

მეიჯარემ შენობა იჯარით გადასცა მოიჯარეს 10 წლის ვადით. ვადის ათვლიდან ორი წლის შემდეგ, მოიჯარემ ქვე-იჯარით გადასცა შენობა ქვე-მოიჯარეს 5 წლის ვადით. ქვე-იჯარის პირობების მიხედვით, ქვე-მოიჯარე დათანხმდა მოიჯარისათვის იჯარის საფასურის ყოველთვიურ გადახდაზე. მიუხედავად იმისა, რომ ქვე-მოიჯარე დროულად უხდიდა მოიჯარეს იჯარის საფასურს, მოიჯარემ ოთხი გადახდა დაუგვიანა მეიჯარეს. მოიჯარემ დატოვა იურისდიქციის საზღვრები და მისი პოვნა ვერ ხერხდება. მეიჯარემ უჩივლა ქვე-მოიჯარეს გადაუხდელი იჯარის ასანაზღაურებლად. კონკრეტული კანონი ამ შემთხვევაზე არ მოქმედებს.

თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ ქვე-მოიჯარე არ არის პასუხისმგებელი მეიჯარის წინაშე გადაუხდელ იჯარაზე, რა იქნება საამისო ყველაზე სავარაუდო საფუძველი?

- ა. ქვე-მოიჯარე პასუხისმგებელია მეიჯარის წინაშე მხოლოდ როგორც თავდები მოიჯარის მიერ გადასახდელი ქირისთვის.
- ბ. ქვე-იჯარა წარმოადგენს პირველადი იჯარის ცესიას.
- გ. ქვე-მოიჯარეს არ აქვს ქონებრივი ინტერესი საკუთრების ან მეიჯარესთან ხელშეკრულების მიმართ.
- დ. ქვე-მოიჯარის მიერ მოიჯარისთვის გადახდილი ქირა სრულად ათავისუფლებს ქვე-მოიჯარეს მეიჯარისთვის ქირის გადახდის ვალდებულებისაგან.

ტესტი 58

თელავში რეგისტრირებულმა ინდემწარმე თამარმა სარჩელი შეიტანა თელავის სასამართლოში გურჯაანის შპს „აუდიტორული მომსახურების“ აუდიტის წინააღმდეგ. სასამართლომ კურიერს უწყება და სარჩელი შპს-თვის ჩასაბარებლად გადასცა. გურჯაანში მდებარე შპს-ს ოფისში კურიერი სტაჟირებაზე მყოფ პირს გამოელაპარაკა, რომელმაც სადილის დროს მისაღებში მაგიდასთან იჯდა და უთხრა, რომ საბუთები პირადად უნდა გადაეცა შპს-ს სამდივნოს ხელმძღვანელი პირისთვის. სტაჟიორმა კურიერს უთხრა, რომ სამდივნოს ყველა თანამშრომელი იმ მომენტში გასული იყო სადილად და მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდა ქონდა თუ არა ამის უფლება, მაინც სიამოვნებით ჩაიბარებდა საბუთებს და პირადად გადასცემდა მათ პასუხისმგებელ პირს. კურიერმა სტაჟიორს გადასხა საბუთების დედნები და ასლებზე შემდეგი სიტყვები დააწერა: „ჩაბარებულია შპს-ს სახელით“. სტაჟიორმა ამ სიტყვების ქვემოთ ხელი მოაწერა და კურიერი წამოვიდა. მოგვიანებით, იმავე დღეს, სტაჟიორმა საბუთები შპს-ს სამდივნოს ხელმძღვანელს გადასხა. შპს-ს წარმომადგენელი სასამართლოში არ გამოცხადდა და გადაწყვეტილება დაუსწრებლად იქნა მიღებული. შპს-მ დააყენა შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ იმ მოტივით, რომ უწყება და სარჩელი კანონიერად არ იქნა ჩაბარებული შპს-თვის.

უნდა დააკმაყოფილოს თუ არა სასამართლომ შუამდგომლობა?

- ა. არა, ვინაიდან უწყება და სარჩელი მართლაც პირადად მიიღო შპს-ს სამდივნოს ხელმძღვანელმა.¹
- ბ. არა, ვინაიდან სტაჟიორის ხელმოწერა არის იმის მტკიცებულება, რომ შპს-ს უწყება კანონიერად ჩაბარდა.
- გ. დიახ, ვინაიდან კურიერს სტაჟიორის ხელმოწერა არ უნდა ჩაეთვალა უწყების კანონიერ ჩაბარებად.
- დ. დიახ, ვინაიდან სტაჟიორი არ იყო უფლებამოსილი ჩაებარებინა უწყება შპს-ს სახელით.

ტესტი 59

მოსარჩელემ, ფარმაცევტული პროდუქციის საბითუმო მოვაჭრემ უჩივლა დიდ ფარმაცევტულ კომპანიას ხელშეკრულების დარღვევის გამო. მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად დააზიანებდა ფარმაცევტული კომპანიის ფინანსურ კეთილდღეობას. საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. სააპელაციო საჩივრის განმხილველი კოლეგიის ერთ-ერთმა მოსამართლემ განაცხადა, რომ ხუთი წლის წინ იგი ამ კომპანიაში მუშაობდა და მისი ოჯახის წევრი დღემდე ფლობდა კომპანიის რამდენიმე ასეულ აქციას. ამავდროულად, მოსამართლემ მიუთითა, რომ მას შეეძლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიუკერძოებლად განხილვა. საბითუმო მოვაჭრის ადვოკატმა იშუამდგომლა მოსამართლის აცილება ზემოაღნიშნული საფუძველით.

ქვემოთ ჩამოთვლილიდან, რომელია საუკეთესო არგუმენტი აცილების შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობის დასასაბუთებლად?

- ა. მოსამართლის ფარმაცევტულ კომპანიაში მუშაობის და მასთან კავშირების არსებობა, თუნდაც ხუთი წლის წინ, გამორიცხავს მის მონაწილეობას საქმის განხილვაში.
სწორი პასუხი:
- ბ. ფარმაცევტული კომპანიისთვის საზიანო გადაწყვეტილების პოტენციური შედეგები მოითხოვს აცილებას, რადგან მოსამართლის ოჯახის მიერ აქციების ფლობა გულისხმობს მის ირიბ პირად ინტერესს საქმის მიმართ, რაც წარმოადგენს არსებით საფუძველს მიუკერძოებლაში ეჭვის შესატანად.
- გ. კოლეგიას, რომელიც საქმის განსახილველად დაინიშნა, არ უნდა მიეღო იგი, რადგან მის ერთ-ერთ წევრს გარკვეული კავშირები ქონდა ფარმაცევტულ კომპანიასთან.
- დ. მოსამართლის ოჯახის მიერ აქციების მცირე რაოდენობის ფლობა, თუნდაც ასეთ დიდ, საზოგადოებრივად მართულ კომპანიაში, წარმოადგენს პირად ინტერესს, როგორც ასეთს და ამდენად, მოითხოვს აცილებას.

ტესტი 60

ნაცვლიშვილმა წარადგინა სარჩელი სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ, იმ დასაბუთებით, რომ კომპანიამ არ შეასრულა სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ვალდებულება და უარი უთხრა სამთო ველოსიპედით უბედური შემთხვევის შედეგად მისი სამედიცინო ხარჯების ანაზღაურებაზე. მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ წარმოადგინა მტკიცებულება, რომლის თანახმად პრემია ფარავდა უბედური შემთხვევების შედეგად სხეულის დაზიანების სამედიცინო ხარჯებს. ამის შემდეგ კომპანიამ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ პოლისის ერთ-ერთი ნორმა გამორიცხავდა სხეულის ისეთ დაზიანებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას, რომელიც დაზღვეულმა მიიღო თავისი „არასათანადოდ სარისკო“

ქვეყნის შედეგად და რომ უზედური შემთხვევა მოხდა ისეთ ადგილას, სადაც საგზაო ნიშნები ველოსიპედისტებს აფრთხილებდნენ, რომ იქ არ უნდა შესულიყვნენ. ამასთან, კომპანიამ სადავო გახადა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი სამედიცინო ხარჯების ოდენობაც.

მთავარ სხდომაზე მოსარჩელის ადვოკატმა, იმ მოტივით, რომ ხარჯების დასადგენად საჭირო ექსპერტიზა დამატებით დროს და ხარჯებს მოითხოვდა, იშუამდგომლა, სასამართლოს წინასწარ ემსჯელა და გამოეტანა გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ.

შეუძლია სასამართლოს წინასწარ გადაწყვეტოს სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის კანონიერების საკითხი?

ა. დიახ, ვინაიდან სასამართლოს ყოველთვის შეუძლია წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანა თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

სწორი პასუხი:

ბ. დიახ, კომპანია სადაოდ ხდის ნაცვლიშვილის მოთხოვნას როგორც ფაქტობრივ, ისე ანაზღაურების ოდენობის ნაწილში.

გ. არა, ვინაიდან ნაცვლიშვილი უფლებამოსილია სასამართლომ განიხილოს მისი სარჩელი ერთ ინტეგრირებულ სხდომაზე.

დ. არა, კომპანიის „არასათანადოდ სარიკსო ქვეყის“ არგუმენტი განუყოფელია ნაცვლიშვილის სამედიცინო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნისაგან.

ტესტი 61

რატომ ფლობდა მიწის ნაკვეთს ომარის მიწის მეზობლად. რატომ მათი მიწის ნაკვეთების საზღვართან ახლოს მიწა ამოთხარა, რამაც ომარის მიწის ნაკვეთზე სერიოზული ეროზია გამოიწვია. ომარმა რატის უჩივლა და სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა რატის წინააღმდეგ და მას 25,000 ლარი დააკისრა. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, ომარი ეცადა ამ თანხის მიღებას რატისგან, თუმცა უშედეგოდ. ამასობაში, ომარმა თავისი მიწის ნაკვეთი გოჩას მიყიდა და გარიგების ნაწილის სახით, თანხის მიღების უფლებაც გოჩას გადასცა. გოჩამ დაიქირავა ექსპერტი იმის დასადგენად, თუ როგორ არეკვეთა რატის გათხრებით გამოწვეული ეროზია. შედეგად, ექსპერტმა დაადგინა, რომ ეროზიის შედეგად ქონებისთვის მიყენებული ზიანის გამოსწორებისთვის აუცილებელი თანხა 50,000 ლარს შეადგენდა. გოჩამ სარჩელი შეიტანა რატის წინააღმდეგ იმავე საფუძველით, რაც ომარმა და იმ საფუძველით, რომ რატის დაკისრებული 25,000 ლარი არ გადაუხდია. გოჩა ითხოვს 50,000 ლარის ანაზღაურებას ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.

სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს ახალი სარჩელი?

ა. დიახ, რადგან მყიდველმა შეძლო დამატებითი მტკიცებულების მოპოვება უფრო მაღალი თანხის ოდენობის დაკისრების შესახებ მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

ბ. დიახ, ვინაიდან გოჩამ მიიღო ყველა ის უფლება, რომელიც ომარს ქონდა რატის წინაშე, როგორც უფლებამონაცვლე.

გ. არა, რადგან სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, გოჩას არ შეუძლია ხელახლა განაცხადოს იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე.

დ. არა, რადგან იგი არ იყო ომარის თავდაპირველი სარჩელის მხარე.

ტესტი 62

ადგილობრივ გაზეთში დაიბეჭდა სტატია, რომელიც ნანა გოგოჭურის აზრით შეიცავდა მისთვის საქმიანი რეპუტაციის შემლახავ ინფორმაციას. ნანამ სარჩელით მიმართა საქალაქო სასამართლოს და გაზეთისგან მოითხოვა სტატიაში გამოქვეყნებული შეურაცხმყოფელი ინფორმაციის უარყოფა და საპასუხო წერილის გამოქვეყნება, რაზეც გაზეთმა უარი განაცხადა. სასამართლომ ჩანიშნა საქმის განხილვის თარიღი. სასამართლო პროცესის დღეს ნანა მოყვა ავტო-ავარიის და იგი კომპატოზურ მდგომარეობაში გადაიყვანეს საავადმყოფოში. სხდომაზე არც გაზეთის წარმომადგენელი გამოცხადდა, რადგან ტელევიზიით შეიტყო, რომ ნანა საავადმყოფოში მოხვდა. სასამართლომ, საკუთარი ინიციატივით გამოიტანა განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. მას შემდეგ რაც ნანა გოგოჭური გამოჯანმრთელდა, მან განმეორებით შეიტანა იგივე სარჩელი იმავე სასამართლოში, რასაც მოპასუხე გაზეთი არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ სასამართლომ, არ უნდა განიხილოს იგივე სარჩელი.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ გაზეთის შუამდგომლობაზე?

ა. სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს შუამდგომლობა, რადგან მხარეთა გამოუცხადებლობის გამო

სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვა და ნანა გამოჯანმრთელდა.

ბ. სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს შუამდგომლობა, ვინაიდან გაზეთს არ გაუპროტესტებია სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით სარჩელის განუხილველად დატოვება.

გ. სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს შუამდგომლობა, რადგან გაზეთს არ განუცხადებია თანხმობა სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

დ. სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს შუამდგომლობა, რადგან იგი არ იყო უფლებამოსილი განუხილველად დაეტოვებინა სარჩელი.

ტესტი 63

ქარდავამ უჩივლა ჯორჯიკიას ქარდავას კუთვნილი პატენტის დარღვევის გამო. მთავარ სხდომაზე ყველა მხარე გამოცხადდა. მოსარჩელე ქარდავას ადვოკატის შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვისა და ექსპერტიზის დანშვნის შესახებ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა. ქარდავას წინააღმდეგ მოსამართლის მიკერძოებულობის საფუძველით ადვოკატმა აცილება განუცხადა მოსამართლეს, რაც ასევე არ დააკმაყოფილდა. ადვოკატის რჩევით ქარდავამ უარი განაცხადა სხდომაში მონაწილეობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ თუ მხარე უარს განაცხადებდა სასამართლოს სხდომაში მონაწილეობაზე, გამოიტანდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მხარის გამოუცხადებლობის გამო.

უფლებამოსილია თუ არა სასამართლო მიიღოს კანონიერი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარის გამოუცხადებლობის გამო?

ა. არა, რადგან ქარდავას უარი საქმის განხილვაში მონაწილეობაზე ეფუძნებოდა ადვოკატის რჩევას.

ბ. არა, რადგან სასამართლოს უფლებამოსილება გადადოს სხდომა მოცემულ გარემოებებში განუსაზღვრელი ვადით შეზღუდულია.

სწორი პასუხი:

გ. დიახ, რადგან მხარის მიერ საქმის ზეპირ განხილვაზე უარი ითვლება სასამართლოს წინაშე გამოუცხადებლობად.

დ. დიახ, რადგან სასამართლომ სათანადოდ განუმარტა ქარდავას სხდომაში მონაწილეობის არმიღების შედეგები.

ტესტი 64

სააპელაციო სასამართლოში ზერეკიძის სააპელაციო საჩივრის განხილვისას, სასამართლო სხდომაზე, მხარეთა პაექრობა დაიწყო. შესვენების დროს მხარეთა ადვოკატებმა საქმეზე მოსარჩეველად გარკვეულ თანხაზე წინასწარ შეთანხმებას მიაღწიეს. პაექრობის გაგრძელებამდე ზერეკიძემ სასამართლოს შეატყობინა მორიგებაზე წინასწარი შეთანხმების შესახებ და უარი განაცხადა სააპელაციო საჩივარზე. შესაბამისად, სასამართლომ შეწყვიტა სააპელაციო საჩივრის განხილვა. დეტალებთან დაკავშირებული გაუგებრობის გამო, მხარეები ვერ მორიგდნენ. სამი თვის შემდეგ ზერეკიძემ ხელახლა მიმართა სასამართლოს სააპელაციო საჩივრის განხილვის მოთხოვნით. სასამართლომ საჩივარი არ მიიღო.

კანონიერია სასამართლოს უარი სააპელაციო საჩივრის განხილვაზე?

ა. დიახ, ვინაიდან სამი თვე გავიდა იმ ვადის ამოწურვის შემდეგ, რომელშიც სააპელაციო საჩივარის ხელახლა განხილვის მოთხოვნა დასაშვებია.²

ბ. დიახ, ვინაიდან სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის და სასამართლოს მიერ განჩინებით საქმის წარმოების შეწყვეტის შედეგად, ზერეკიძეს საქმის ხელახლა გასაჩივრების უფლება აღარ აქვს.

გ. არა, ვინაიდან სააპელაციო საჩივარზე უარის მხოლოდ ერთმა მხარემ თქვა.

დ. არა, ვინაიდან ზერეკიძემ აცნობა სასამართლოს, რომ მხარეებმა მხოლოდ წინასწარ შეთანხმებას მიაღწიეს.

ტესტი 65

ქავთარაძემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებისა და გადაწყვეტილების გამოტანამდე მიღებული განჩინებების გაუქმება. მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა სააპელაციო საჩივრის შესაგებელში მოითხოვა, რომ სააპელაციო სასამართლოს არ ემსჯელა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე მიღებულ განჩინებებზე, რადგან მხარეს ეს განჩინებები კერძო საჩივრით არ გაუსაჩივრებია.

კანონიერია მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მოთხოვნა?

ა. დიახ, ვინაიდან მხარეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით კერძო საჩივრით არ გაუსაჩივრებია.

ბ. არა, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს ის განჩინებები, რომელთა განხილვასაც სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს.

გ. არა, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

დ. დიახ, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

ტესტი 66

პირველმა რესპუბლიკურმა ბანკმა („ბანკი“) გიორგაძეს უჩივლა იპოთეკით დატვირთული ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნით. ბანკმა იცოდა, რომ ქონება იყო გიორგაძის და მისი ამჟამად დაშორებული მეუღლის, ნატალიას თანსაკუთრება. მთავარ სხდომაზე მოპასუხე გიორგაძის მეუღლემ - ნატალია მესხმა იშუამდგომლა საქმეში მესამე პირად ჩაბმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ვინაიდან იგი უძრავი ქონების თანამესაკუთრეა და წარადგინა სარჩელი ბანკის მიმართ მისი თანხმობის გარეშე დადებული იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე, რადგან იგი მისი თანხმობის გარეშე გაფორმდა. სასამართლომ იმავე სხდომაზე განჩინებით წარმოებაში მიიღო ნატალია მესხის სარჩელი, ასლი დიდი რაოდენობით თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად გადასცა მხარეებს და ნ.მესხის სარჩელის გასაცნობად ერთსაათიანი შესვენება გამოაცხადა. მესამე პირის სარჩელის გასაცნობად და შესაგებლის მოსამზადებლად ბანკის წარმომადგენელმა მოითხოვა, საქმის განხილვის გადადება ერთი დღით, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა სწორად მიიჩნია რა, რომ იგი უფლებამოსილია განსაზღვროს პროცესუალური ვადები, რომლებიც სხვაგვარად კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

კანონიერია სასამართლოს მოქმედება?

ა. არა, ვინაიდან საპროცესო ვადის ხანგრძლივობის განსაზღვრისას სასამართლოს უნდა გაითვალისწინებინა, რომ ერთ საათიანი შესვენება აშკარად არ იქნებოდა საკმარისი იმისთვის, რომ ბანკს შეესწავლა დიდი რაოდენობის საბუთები და სათანადო შესაგებელი მოემზადებინა.

ბ. დიახ, ვინაიდან სასამართლოს ნატალიასთვის უნდა დაევალებინა სარჩელის მხარეებისთვის გადაცემა სასამართლოში წარდგენამდე, რათა მათ ქონოდათ კოდექსით გათვალისწინებული ვადა შესაგებლის მოსამზადებლად.

გ. დიახ, ვინაიდან სასამართლო სარგებლობს შეუზღუდავი დისკრეციული უფლებამოსილებით განსაზღვროს ვადები საპროცესო მოქმედებების შესასრულებლად, თუ ეს ვადები კოდექსით გათვალისწინებული არ არის.

დ. არა, ვინაიდან ბანკმა იცოდა, რომ ქონება გიორგაძისა და ნატალიას თანსაკუთრება იყო იგი თავიდანვე თანამოპასუხედ უნდა დაესახელებინა.

ტესტი 67

გიორგაძემ სარჩელი წარადგინა სასამართლოში ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, გადახდილი თანხის უკან დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ძირითად სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნები და უარი თქვა ზიანის ანაზღაურებაზე.

სასამართლომ ძირითად სხდომაზე სარჩელის შემცირება არაკანონიერად მიიჩნია და გაჩინებით უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის შემცირებაზე.

კანონიერია სასამართლოს მოქმედება?

ა. დიახ, რადგან მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე, შეცვალოს სარჩელის საფუძველი, ან საგანი.

ბ. დიახ, რადგან სარჩელის შეცვლად ჩაითვლება, მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება.

გ. არა, რადგან საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ, სარჩელის საფუძვლის, ან საგნის შეცვლა დასაშვებია, მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით.

დ. არა, რადგან სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება.

ტესტი 68

ქერქაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ვეკუას წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების თაობაზე. საქმის მომზადების სტადიაზე გაირკვა, რომ ქერქაძე არასათანადო მოსარჩელე იყო და სათანადო მოსარჩელეს ლაზიაშვილი წარმოადგენდა.

სასამართლომ შესთავაზა ქერქაძეს მისი შეცვლა სათანადო მოსარჩელით, რაზეც მან თანხმობა განაცხადა. აღნიშნულზე სასამართლომ შეატყობინა ლაზიაშვილს, რომელმაც არასათანადო მოსარჩელის შეცვლაზე უარი განაცხადა.

მოპასუხე ვეკუას ადვოკატმა იშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტა.

კანონიერია ადვოკატის მოთხოვნა?

ა. არა, რადგან სასამართლოს ლაზიაშვილი საქმეში უნდა ჩაება მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე.

ბ. არა, რადგან სასამართლოს სარჩელი განუხილველად უნდა დაეტოვებინა.

გ. დიახ, რადგან მოპასუხე შუამდგომლობს საქმის შეწყვეტას.

დ. დიახ, რადგან არასათანადო მხარემ უარი თქვა მის მიერ აღძრულ სარჩელზე.

ტესტი 69

გეთიამ სარჩელით მიმართა სასამართლოს სს „ინტერბანკის“ მიმართ და მოითხოვა სამუშაოდან უკანონო გათავისუფლებით მიყენებული მორალური ზიანის სახით 3000 ლარის დაკისრება.

სასამართლო სხდომაზე მოპასუხე სს „ინტერბანკი“ არ გამოცხადდა. მოსარჩელემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, იმ დასაბუთებით, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

კანონიერია სასამართლოს გადაწყვეტილება?

ა. არა, რადგან სასამართლოს უნდა გადაედო საქმის განხილვა.

ბ. არა, რადგან თუ მოპასუხე არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და მოსარჩელემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა.

გ. დიახ, რადგან მორალური ზიანთან დაკავშირებულ დავებზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია.

დ. დიახ, რადგან თუ მოპასუხე არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სასამართლო გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილებს სარჩელს.

ტესტი 70

ჭუმბურიძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მეზობლად მცხოვრები ჯიჯელავასთვის სასაზღვრო მიჯნის ასაგებად გაწეული ხარჯების გადახდის დაკისრების შესახებ. ჯიჯელავამ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და სარჩელს მტკიცებულებად დაურთო საერთო მეზობლების ხელმოწერით დამოწმებული განცხადება, რომლითაც ჭუმბურიძე, როგორც ოჯახში ასევე მეზობლებში უარყოფით პიროვნებად ხასიათდებოდა. სასამართლომ შესაგებელზე მტკიცებულებად დართული დახასიათება არ მიიღო იმ მოტივით, რომ მას დავის გადასაწყვეტად მნიშვნელობა არ აქვს.

კანონიერია სასამართლოს მოქმედება?

ა. არა, რადგან სასამართლოს მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების მიღებაზე უარის თქმის უფლება არ აქვს.

ბ. არა, რადგან მოპასუხემ შეჯიბრებითობის პრინციპით თვითონ განსაზღვრა, თუ რომელი მტკიცებულებით დაადასტურებდა თავის შესაგებელს.

გ. დიახ, რადგან წერილობითი მტკიცებულება სათანადო წესით დამოწმებული უნდა იყოს.

დ. დიახ, რადგან სასამართლო არ მიიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისთვის მნიშვნელობა აქვს.

ტესტი 71

რუსეთის მოქალაქე, პროფესიით ჟურნალისტი იგორ კოზლოვი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს აშუქებდა. მას სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა თამარ ირემაშვილთან, რომელიც მუშაობდა ანალიტიკოსად საქართველოს სადაზვერვო სამსახურში. ერთ საღამოს თამარმა იგორ კოზლოვი სახლში დაპატიჟა ვახშამზე. ვიდრე თამარი სამზარეულოში ვახშამს ამზადებდა, იგორ კოზლოვმა სასტუმრო ოთახში მაგიდაზე დაინახა ღიად დატოვებული საქალაქი. იგი მიხვდა, რომ საქალაქში საქართველოს სადაზვერვო სამსახურისთვის განკუთვნილი სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალები იდო, რომელიც რუსეთის სადაზვერვო სამსახურის საქმიანობას ეხებოდა. აღნიშნული მასალების მიხედვით ირკვეოდა, რომ რუსეთის სადაზვერვო სამსახურს ხელი უნდა შეეშალა საქართველოს დიპლომატიური საქმიანობისთვის, რაც ევროპულ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუარესებას გამოიწვევდა. კოზლოვმა საკუთარი მობილური ტელეფონით გადაუღო დოკუმენტებს ფოტოები და ელექტრონული ფოსტით გადაეგზავნა რუსეთის საელჩოში იმის მითითებით, რომ საელჩოს თანამშრომლებს ფოტოები გადაეგზავნათ მოსკოვში. მოგვიანებით, როდესაც თამარი მიხვდა, რომ მისი დაუდევრობით საიდუმლო დოკუმენტები კოზლოვის ხელში აღმოჩნდა, აცნობა სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელს.

კოზლოვი დააკავეს და მის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ჯაშუშობის ბრალდებით. ჩაიდინა თუ არა კოზლოვმა ჯაშუშობა?

- ა. არა, ვინაიდან მან სახელმწიფო საიდუმლო მხოლოდ ელექტრონული ფორმით გაავრცელა და ის არ ფლობდა დოკუმენტებს.
- ბ. არა, ვინაიდან მან პირადად არ გადასცა ინფორმაცია რუსეთის წარმომადგენლებს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.
- გ. დიახ, რადგან მან იცოდა, რომ ინფორმაცია წარმომადგენდა სახელმწიფო საიდუმლოებას, რომლის მისთვის გამჟღავნების განზრახვა თამარს არ ჰქონია.
- დ. დიახ, რადგან მან მოიპოვა, შეინახა და გადასცა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია რუსეთის წარმომადგენლებს.

ტესტი 72

რომან ნიჟარაძემ საკუთარ თანამშრომელს, სამუშაო მაგიდის უჯრიდან ამოაცალა ძვირადღირებული ბეჭედი. რომანის ძმა გიორგი პროკურატურაში მუშაობდა და როდესაც მან შეიტყო, რომ პროკურორი აპირებდა რომანისთვის ბრალის წარდგენას ქურდობისთვის, გიორგიმ დაარწმუნა რომანი, რომ ბეჭედი მისთვის მიეცა და უთხრა, რომ ეცდებოდა პროკურორის დარწმუნებას, რომ მისთვის ბრალი არ წარედგინა. გიორგიმ პროკურორი ერთ საღამოს ვახშამზე მიიწვია და სუფრასთან უთხრა, რომ ბეჭედი თან ჰქონდა და მას პროკურორს გადასცემდა იმისთვის, რომ მას იგი მფლობელისთვის დაებრუნებინა იმ პირობით, რომ იგი მის ძმას ბრალს აღარ წარუდგენდა და სისხლისსამართლებრივ დევნას არ აწარმოებდა. პროკურორმა მას ბეჭედი გამოართვა, თუმცა არ უთქვამს, რომ მფლობელს დაუბრუნებდა. ამასთან, მან მოითხოვა, რომ რომანს მისთვის 20000 ლარი უნდა მიეცა ამის სანაცვლოდ. გიორგიმ პროკურორს ბეჭედი გადასცა და უთხრა, რომ პროკურორის მოთხოვნას რომანს გადასცემდა. რომანმა ფულის გადაცემაზე უარი განაცხადა.

არის თუ არა პროკურორი დამნაშავე ქრთამის აღებაში?

- ა. დიახ, რადგან პროკურორმა ბეჭედი გამოართვა იმ პირობის მიცემის გარეშე, რომ იგი მას მფლობელს დაუბრუნებდა.
- ბ. დიახ, რადგან მან მოითხოვა, რომ რომანს მისთვის ფული გადაეხადა სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების სანაცვლოდ.
- გ. არა, რადგან პროკურორის თანხმობა ბრალის არ წარდგენაზე პირობითი იყო, 20,000 ლარის გადახდის სანაცვლოდ.
- დ. არა, რადგან პროკურორს რეალურად თანხა არ მიუღია არც გიორგისგან და არც რომანისგან.

ტესტი 73

კიკნაძემ, რომელიც თავისი ვაჟის სკოლიდან გამოსაყვანად მანქანით მიდიოდა, დაინახა, რომ მდინარეში ახალგაზრდა გოგონა იხრჩობოდა. კიკნაძემ გოგონას სამაშველო რგოლი და თოკი გადაუგდო, რომელიც მანქანაში ჰქონდა. გოგონამ თოკი დაიჭირა და კიკნაძემ მის ამოყვანას შეუდგა. უცხად, მან იცნო გოგონა, რომელიც მისი იმ მეზობლის არასრულწლოვანი შვილი აღმოჩნდა, რომელმაც კიკნაძის ვაჟი ერთი კვირის წინ სცემა, როდესაც იგი მეზობლის ეზოში ბურთის ასაღებად შევიდა. კიკნაძე კვლავ მეტად ბრაზობდა ამის გამო და მან თოკს ხელი გაუშვა, რის გამოც მდინარეში გოგონა წაიღო და დაახრჩო.

ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი დანაშაულის ჩადენისთვის წარუდგენს პროკურორი ბრალს კიკნაძეს?

- ა. განხორციელებულია წინასწარი შეცნობით მყოფი არასრულწლოვნის მკვლელობა.
- ბ. ჩადენილია დაუხმარებლობა.
- გ. განხორციელებულია განსაცდელში მყოფი არასრულწლოვანი პირის მიტოვება.
- დ. განხორციელებულია განზრახ მკვლელობა ძლიერი სულიერი აღლავების მდგომარეობაში.

ტესტი 74

ზვიადაძე თბილისის საჯარო სკოლაში დამლაგებლად მუშაობდა. დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, იგი აგრეთვე თბილისში მდებარე კერძო საადვოკატო ოფისებსაც ალაგებდა ღამით. ერთ-ერთ ღამეს მუშაობისას მან შენიშნა, რომ ახლომახლო ქალები პროსტიტუციით იყვნენ დაკავებულნი. ზოგჯერ, ქალები მას 50 ან 100 ლარს სთავაზობდნენ იმისთვის, რომ მას მათთვის დაეთმო ის ოთახები, რომლებსაც იგი ალაგებდა, სადაც ისინი ნებაყოფლობით ახორციელებდნენ სქესობრივ კავშირს. ზვიადაძე სიხარულით უთმობდა მათ იმ ოთახებს, რომლებსაც იმ დროს ალაგებდა.

დასჯადია ზვიადაძის მიერ საცხოვრებლის პროსტიტუციისთვის გადაცემა?

- ა. დიახ, რადგან მან აიღო თანხა პროსტიტუციისთვის იმ ოთახების გამოყენების სანაცვლოდ, რომლებსაც იგი ალაგებდა.
- ბ. დიახ, რადგან მან დაუთმო ის ოთახები პროსტიტუციისთვის, რომლებსაც იგი ალაგებდა.
- გ. არა, რადგან ის ოთახები, რომლებიც მან პროსტიტუციისთვის დაუთმო, მისი სათანადო კონტროლის ქვეშ არ იმყოფებოდა.
- დ. არა, რადგან თითოეულ შემთხვევაში სწორედ პროსტიტუციით დაკავებულმა გოგონებმა მოითხოვეს ოთახების გამოყენება.

ტესტი 75

ანი დაბრუნდა შვილს სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა მირზა ქათამაძესთან, რომლისგანაც ქორწინების გარეშე შვილი შეეძინა. ანი დაბრუნდა შვილი საკუთარ 3 თვის ბავშვს, ერთი კვირის განმავლობაში მოკვლის განზრახვით არ აძლევდა საკვებს. ვიდრე ბავშვი გარდაიცვლებოდა, ანის კანონიერ მფლობელობაში არსებული იარაღიდან ტყვია შემთხვევით გაუვარდა, რამაც ბავშვის დაღუპვა გამოიწვია. ამ ფაქტით ანი კმაყოფილი აღმოჩნდა. ექსპერტიზით დადგინდა, რომ ბავშვი მაინც გარდაიცვლებოდა შიმშილით.

დამნაშავეა თუ არა იგი ორივე დანაშაულის ჩადენაში?

- ა. დიახ, რადგანაც ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობის მცდელობა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა.
- ბ. არა, რადგანაც ჩადენილია გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა.
- გ. არა, რადგანაც ჩადენილია განზრახ მკვლელობის მცდელობა.
- დ. დიახ, რადგანაც ჩადენილია დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობის მცდელობა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა.

ტესტი 76

დავით ჯანელიძეს უკანონო სამეწარმეო საქმიანობისთვის, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულია, სასამართლომ შეუფარდა პირობითი მსჯავრი და დამატებით სასჯელად დაუნიშნა ჯარიმა. ადვოკატმა სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ სასამართლოს ჯარიმის დამატებით სასჯელად დანიშვნის უფლება არ ჰქონდა, რადგან პირობითი მსჯავრისას მხოლოდ გარკვეული სახის მოვალეობები უნდა დაეკისროს მსჯავრდებულს.

კანონიერია სასამართლოს გადაწყვეტილება?

- ა. არა, რადგან პირობით მსჯავრთან ერთად მხოლოდ ძირითადი სასჯელი ინიშნება.
- ბ. არა, რადგან პირობით მსჯავრთან ერთად სასჯელის დანიშვნა საერთოდ არ შეიძლება.
- გ. დიახ, რადგან პირობით მსჯავრთან ერთად შეიძლება დამატებითი სასჯელის დანიშვნა.
- დ. არა, რადგან პირობით მსჯავრთან ერთად შეიძლება დამატებითი სასჯელის დანიშვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია ჩადენილი.

ტესტი 77

სადამოს, დაბინდებისას სამსახურიდან მდინარის ნაპირას მომავალმა გოგიაჩაიშვილმა გაიგონა ყვირილი, რომ

ვიდაც შველას ითხოვდა. თითქოს ყვირილის ხმა მდინარის მხრიდან მოდიოდა. რადგან ბნელოდა, იგი არ იყო დარწმუნებული, მაგრამ თითქოს ბავშვის ფიგურა დაინახა, რომელიც სწრაფ დინებას მიჰქონდა. გოგიჩაიშვილმა ცურვა არ იცოდა, ამიტომ წყალში გადახტომას და შველის მცდელობას მოერიდა. ახლომახლო არავინ იყო, ვისთვისაც იგი დახმარების თხოვნას შეძლებდა, ამიტომ მან სიარული განაგრძო. მეორე დღეს მან გაზეთში წაიკითხა, რომ გასულ საღამოს, დაახლოებით იმ დროს, როდესაც იგი მდინარესთან მოდიოდა, ბავშვი დამხრჩვალა. მას დანაშაულის გრძნობა დაეუფლა, ბავშვის მშობლებს დაუკავშირდა და სინანული გაუზიარა, რომ ბავშვის დახმარება ვერ შეძლო. მშობლებმა ეს პოლიციას აცნობეს, ხოლო მათ კი გოგიჩაიშვილი დააკავეს და ბრალად განსაცდელში მიტოვება წარუდგინეს.

დამნაშავეა თუ არა გოგიჩაიშვილი დანაშაულის ჩადენაში?

- ა. დიახ, რადგან მან არ გაუწია დახმარება მიუხედავად იმისა, რომ ცურვა არ იცოდა.
- ბ. დიახ, რადგან მან არ შეატყობინა შესაბამის უწყებებს საფრთხის შესახებ და არ ითხოვა მათი დახმარება ბავშვის გადასარჩენად.
- გ. არა, რადგან ვინაიდან მან ცურვა არ იცოდა, იგი თავის სიცოცხლეს საფრთხეში ჩააგდებდა და მას არ ქონდა შესაძლებლობა სხვებისთვის შეეტყობინებინა, ვინც შეძლებდა დროულად მოსვლას დასახმარებლად.
- დ. არა, რადგან ბნელებოდა და მან ძლივს გაარჩია ბავშვის ფიგურა, რომელიც წყალს მიქონდა.

ტესტი 78

პოლიციის ოფიცერმა შენიშნა, რომ ანამ და ზურამ ერთმანეთში რაღაც გაცვალეს, რაც მისი აზრით, ნარკოტიკი იყო. იგი მათ მიუახლოვდა, როდესაც ზურამ ანას გარკვეული თანხის სანაცვლოდ თეთრი ფხვნილი გადასცა. შემთხვევის ადგილზე პოლიციის თანამშრომელმა დააკავა ანა ხოლო ზურამ გაქცევა მოახერხა. ოფიცერმა ანას ჩამოართვა მცირე ზომის შეკვრა ფხვნილით, რომელიც ჰეროინი აღმოჩნდა. ანამ პოლიციის ოფიცერს შესთავაზა, რომ თუ მას გაათავისუფლებდა, სანაცვლოდ იგი მას მეორე დღეს შეხვდებოდა და მიიყვანდა იმ ადგილას, სადაც ზურა და მისი თანამზრახველები ნარკოტიკებს გაგრეგელების მნიშვნელოვან საქმიანობას ეწეოდნენ. ოფიცერმა იცოდა, რომ ზურა ნარკოტიკების დიდ ოდენობებს ასაღებდა და ფიქრობდა, რომ თუ ზურას და მისი თანამზრახველების დაჭერას შეძლებდა, მას მეტი შანსი ექნებოდა დაწინაურებულიყო პოლიციის განყოფილებაში. პოლიციის ოფიცერმა აღნიშნული წინადადების სანაცვლოდ ანა გაათავისუფლა და მომდევნო დღეს შეხვედრაზე შეუთანხმდა. თუმცა, ანა არ გამოცხადდა და მისი პოვნა ვერ ხერხდება.

ჩაიძინა თუ არა პოლიციელმა სამოხელეო დანაშაული?

- ა. დიახ, რადგან მან არ დააკავა ანა, რომელიც უდავოდ ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობაში მონაწილეობდა.
- ბ. დიახ, რადგან მის მიერ ანას გაათავისუფლებით დაირღვა სახელმწიფოს ინტერესები ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებით და ანას გაათავისუფლებისთვის მისი მოტივაცია იყო თავისთვის სარგებლის მიღება.
- გ. არა, რადგან მას გონივრულად მიაჩნდა, რომ ზურას და მისი თანამზრახველების დაჭერა მეტი სარგებლის მომტანი იყო, ვიდრე ანას დაკავება.
- დ. არა, რადგან ანასთვის ჰეროინის ჩამორთმევით, მან უკვე თავიდან აიცილა ანას მიერ საზოგადოებისთვის რაიმე ზიანის მიყენება, რომელიც ნარკოტიკების უკანონოდ ფლობას შეიძლება გამოეწვია.

ტესტი 79

პოლიციის ოფიცერ მამუკას თავის მეუღლე ეკასთან ძალიან დამაბული ურთიერთობა ჰქონდა. ერთ დღეს მამუკა შინ დაბრუნდა ძალიან ნასვამ მდგომარეობაში. როდესაც იგი სახლში შევიდა, მან სამზარეულოში მაგიდაზე დადო ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღი, იმ ადგილთან ახლოს, სადაც ეკა საკვებს ამზადებდა. მამუკამ ეკას გინება დაიწყო და მას მუქარით უცქერდა. იგი ეკას გვერდის ავლით საძინებლისკენ გაემართა. ეკას შეეშინდა, რომ მამუკა მას კვლავ სცემდა და საკუთარ თავს უთხრა: „კმარა, მეტის ატანა აღარ შემიძლია“. ეკა ეკა მამუკას იარაღს, შევიდა საძინებელში და ესროლა მამუკას. გასროლას მამუკა არ მოუკლავს, თუმცა მძიმედ დააშავა. მან დაინახა, რომ მამუკა სისხლისგან იცლებოდა და იცოდა, რომ იგი მოკვდებოდა, თუ სასწრაფოს არ გამოიძახებდა. მაგრამ, იმის მაგიერ, რომ ასეც მოქცეულიყო, მეორე ტყვიაც ესროლა, რის შედეგადაც მამუკა გარდაიცვალა. ეკა დააკავეს და წარუდგინეს ბრალი დამამძიმებელ გარემოებებში უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის განზრახ მკვლელობისთვის.

დაისჯება თუ არა ეკა დამამძიმებელ გარემოებებში უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის განზრახ მკვლელობისთვის?

- ა. არა, რადგან ეკამ ჩაიძინა განზრახ მკვლელობა.
- ბ. არა, რადგან ოჯახში ძალადობის ისტორიის ქონა ამართლებს ამ მკვლელობას.

გ. დიახ, რადგან იგი გაყვა მამუკას საძინებელში, როდესაც იგი ნასვამი იყო და ეკას ქონდა მისთვის სროლის განზრახვა.

დ. დიახ, რადგან მან მეორედ ესროლა მამუკას, როდესაც იცოდა, რომ მამუკა უმწეო მდგომარეობაში იყო.

ტესტი 80

13 წლის არასრულწლოვანი ნიკა და მისი თანაკლასელი დავითი ხშირად ჩხუბობდნენ და ერთმანეთის მიმართ ძლიერი ანტიპათიით იყვნენ განწყობილნი. დავითმა მოკვლის მიზნით 2012 წლის 1 სექტემბერს, 1 თვით ადრე, სანამ 14 წელი შეუსრულდებოდა, შეიძინა საწამლავი და ნიკას სკოლის სადილში ჩაუყარა. იმავე დღეს, ნიკა ძალიან ცუდად გახდა საწამლავის გამო და იგი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად მოათავსეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში. იგი გარკვეული ხნის განმავლობაში ავად იყო საწამლავის გამო და სიკვდილის პირას იყო. თუმცა, ნიკა 15 ოქტომბერს, ექიმის დაუდევარი მოქმედებით გარდაიცვალა.

შეიძლება თუ არა დავითის სისხლისსამართლებრივი დევნა მკვლელობისთვის?

ა. არა, რადგან საწამლავის ჩაყრის მომენტში დავითი 13 წლის იყო.

ბ. არა, რადგან დავითი ექიმის დაუდევრობის შედეგად გარდაიცვალა და არა მოწამლის შედეგად.

გ. დიახ, რადგან დავითი გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც ნიკას 14 წელი შეუსრულდა.

დ. დიახ, რადგან ექიმის დაუდევრობით დავითი სიკვდილის მიზეზობრივი კავშირი არ გაწყვეტილა.

ტესტი 81

მარია ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორია, რომელშიც რემონტი მიმდინარეობს. დაიკარგა სამშენებლო მასალის ნაწილი, რომელიც რემონტისთვის უნდა გამოყენებულიყო. მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა ანდრომ, ჩატარებული ინვენტარიზაციისას აღმოაჩინა, რომ სარემონტო სამუშაოებისთვის გამოყოფილი სამშენებლო მასალა სკოლის დირექტორმა საკუთარ სახლში რემონტისთვის გამოიყენა. ანდრომ ზარალის გამოაშკარავებისგან თავის შეკავებისთვის მარიას სქესობრივი კავშირი შესთავაზა. მარია თავიდან დათანხმდა, თუმცა შემდგომ სქესობრივ კავშირზე უარი უთხრა და დაემუქრა, რომ ანდროს ქმედების შესახებ პოლიციას შეატყობინებდა, თუ ანდრო აუდიტის მიგნებებს არ უგულბებელიყოფდა.

შეიძლება თუ არა, რომ ანდროს დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა?

ა. არა, რადგან მარიას ანდროს ქმედების შესახამისი ორგანოებისთვის შეტყობინების შესახებ მუქარა წარმოადგენს შანტაჟს და ქრთამის მიცემას, რაც ანდროს წარდგენილი ნებისმიერი ბრალისაგან სრულად დაიცავს.

ბ. არა, რადგან საბოლოო ჯამში მარიამ უარი უთხრა და არ დაემორჩილა ანდროს მიერ მასთან სქესობრივი კავშირის დამყარების იძულებას.

გ. დიახ, რადგან ანდრომ გამოიყენა თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობა მარიასთვის მასთან სქესობრივი კავშირის დამყარების იძულების მიზნით.

დ. დიახ, რადგან ანდროს მიერ ჩადენილია სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

ტესტი 82

თელავის ტელევიზიის დირექტორს თავისი თანაშემწე ლანა მოსწონდა და დიდი ხნის განმავლობაში, მრავალჯერ სცადა მისი დაყოლიება სქესობრივ კავშირზე. ლანა ყოველ ჯერზე უარს ეუბნებოდა, თუმცა, ვიქტორთან კარგ სამუშაო ურთიერთობას ინარჩუნებდა. ერთ საღამოს, საქმიანი შეხვედრის შემდეგ ვიქტორის ბინაში, ვიქტორმა ლანა დაპატიჟა დარჩენილიყო ჭიქა ღვინის დასალევად და უთხრა, რომ კვლავ ეცდებოდა მის დაყოლიებას სქესობრივ კავშირზე. ლანამ ამ შენიშვნებს არ უპასუხა, თუმცა ღვინის დასალევად დარჩა და რამდენიმე ჭიქა დალია. ის ოდნავ ნასვამი იყო. ისარგებლა რა მისი მდგომარეობით, ვიქტორმა ლანა ძირს დაწვინა და მიუხედავად მისი ფიზიკური წინააღმდეგობისა და სიტყვიერი პროტესტისა რომ გაჩერებულიყო, ვიქტორმა მაინც დაამყარა სქესობრივი კავშირი. სქესობრივი აქტის დროს, ვიქტორი ლანას ყურში უჩურჩულებდა, რომ ცოლს გაშორდებოდა და შესთავაზა ლანას ბინა და დაწინაურება სამსახურში და კარგი მოპყრობა, როგორც მის საყვარელს. ამ მომენტში, ლანამ წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტა და დანებდა. მოგვიანებით, ვიქტორმა თავისი ბინისა და დაწინაურების პირობა არ შეასრულა და ლანამ ამ შემთხვევის შესახებ პოლიციას აცნობა. ვიქტორი დააკავეს და ლანას გაუპატიურებისთვის ბრალი წაუყენეს.

არის თუ არა დირექტორი დამნაშავე გაუპატიურებაში?

ა. არა, რადგან ლანამ სქესობრივ კავშირზე თანხმობა განაცხადა, როდესაც ღვინის დასალევად დარჩა მას შემდეგ,

რა ვიქტორმა უთხრა, რომ მის სქესობრივ კავშირზე დაყოლიებას აპირებდა.

ბ. არა, რადგან ლანამ წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტა, როდესაც ვიქტორი მას ბინას და დაწინაურებას დაპირდა.

გ. დიახ, რადგან ვიქტორმა ისარგებლა ნანას უმწეო მდგომარეობაში ყოფნით.

დ. დიახ, რადგან ვიქტორმა ძალა გამოიყენა ლანასთვის სქესობრივი კავშირების იძულებისთვის.

ტესტი 83

ბესოს სურდა თავის შეყვარებულისთვის საჩუქრის ყიდვა და საიუველირო მაღაზიაში შევიდა. მან გამყიდველს სთხოვა სხვადასხვა ძვირფასი თვლებით მორთული ბეჭდების სინის დათვალიერება. გამყიდველმა, რომელიც მაღაზიის მფლობელის მიერ დაქირავებული თანამშრომელი იყო, სინი დახლზე დადო. ბესო ბეჭდებს სათითაოდ იღებდა და ათვალიერებდა, ხოლო გამყიდველი ამ დროს შებრუნდა სხვა კლიენტის მოსამსახურებლად. ბესომ ამ შემთხვევით ისარგებლა და ერთ-ერთი ბრილიანტის ბეჭედი, რომელიც 11,000 ლარი ღირდა, ჯიბეში ჩაიღო და განაგრძო სხვა ბეჭდების თვალიერება. მან გამყიდველს უთხრა, რომ მოგვიანებით დაბრუნდებოდა ფულით ერთ-ერთი ბეჭდის საყიდლად, მას სინი დაუბრუნა და გარეთ გასვლა დააპირა. როდესაც ბესო კარს მიუახლოვდა, გამყიდველმა შენიშნა, რომ სინს ერთი ბეჭედი აკლდა და ბესოს გარეთ გაყვა, დაეწია, მკლავზე ხელი ჩაავლო და მოსთხოვა ბრილიანტის ბეჭდის დაბრუნება. ბესომ უარყო, რომ ბეჭედი ქონდა და გამყიდველი ქალის ხელი მკლავიდან ძალით მოიშორა და მას მაჯა დაუზიანა. შემდეგ იგი გაიქცა ბეჭდიანად. მას ახლოს ყოფი პოლიციელი გაეკიდა და დაიჭირა. ბესოს წარუდგინეს ბრალი ძარცვაში ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო წარდგენილ ბრალზე?

ა. ბესოს ძარცვა არ ჩაუდენია, რადგან გამყიდველი არ იყო ბეჭდის მესაკუთრე, არამედ მხოლოდ მაღაზიის მფლობელის დაქირავებული მუშაკი.

ბ. ბესომ ჩაიძინა ბრალად შერაცხული დანაშაული, რადგან მან ძალადობის გამოყენებით დაუზიანა გამყიდველს მაჯა და დაასრულა მაღაზიის კუთვნილი ბეჭდის უკანონოდ მისაკუთრების ქმედება.

გ. ბესოს არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული დანაშაული, რადგან გამყიდველის მაჯის დაზიანების მომენტში, ძარცვის ქმედება უკვე დასრულებული იყო.

დ. ბესომ ჩაიძინა ქურდობა და არა ძარცვა, რადგან მან ფარულად მიისაკუთრა ბეჭედი.

ტესტი 84

ზურა და მისი მეგობარი პოლა ერთ დამეს საზოგადოებრივ პარკში ღვინოს სვამდნენ, როდესაც ნოდარი შეხვდათ. ნოდარი ნარკომოვანა იყო, რომელსაც ისინი იცნობდნენ. მანამდე ნოდარმა პოლას გარკვეული რაოდენობის კოკაინი მისცა გასაყიდად და გასაზრცელებლად. როდესაც იგი მათ მიუახლოვდა, მან ბრალი დასდო პოლას გაყიდვიდან ამონაგები გარკვეული თანხის მითვისებაში. ზურა ფეხზე წამოდგა ნოდარს უთხრა: „წადი აქედან, თავი დაგვანებე“. ნოდარმა იარაღი ამოიღო, ზურას მიუშვირა და უთხრა: „აუცილებლად დაგანებებ თავს, როდესაც სისხლისგან დაცლილს ბალახზე დაგდებულს დაგტოვებ“. ამ დროს ზურა ეცა ნოდარს და ძირს დააგდო. ჭიდაობისას ზურამ მოახერხა ქვის აალება ხოლო ნოდარს იარაღი იქვე დაუვარდა. მიუხედავად იმისა, რომ ნოდარს კვლავ შეეძლო ზურაზე თავდასხმა, ზურას შეეძლო გაქცევით ეშველა თავისთვის და თავიდან აეცილებინა შემდგომი დაპირისპირება. თუმცა, პოლამ ზურა წააქეზა: „მოკალი, თორემ თავს არასოდეს დაგვანებებს“. ზურას ამის გაკეთება არ სურდა, მაგრამ მაინც ჩაარტყა ქვა და მოკლა ნოდარი. ზურას დააკავეს მკვლელობის, ხოლო პოლა დანაშაულის წამქეზებლობისათვის.

უნდა დაისაჯოს თუ არა პოლა თანხლები პირი მკვლელობის წაქეზებისთვის?

ა. არა, ვინაიდან ზურას ქმედება, რომელიც განხორციელდა იმ დროს, როდესაც იგი საკუთარ თავს იცავდა, არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც მკვლელობა

ბ. არა, ვინაიდან პოლამ უბრალოდ წააქეზა ზურა მოეკლა ნოდარი.

გ. დიახ, ვინაიდან ნოდარის მკვლელობა, რომელიც პოლამ პირდაპირ წააქეზა, ისეთ გარემოებებში მოხდა, რომლებიც ცალსახად აღემატებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. ამდენად, ქვის ჩარტყმა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მკვლელობა.

დ. დიახ, რადგან პოლას მიერ ზურას წაქეზება ეფუძნებოდა მის პირად უთანხმოებას ნოდართან.

ტესტი 85

ლევანი ნინოს ბიზნეს საქმიანობის შესახებ მეტად საზიანო ინფორმაციას ფლობდა. ლევანი ფულს, ინფორმაციის გამჟღავნების მუქარით და შანტაჟით, სძალავდა ნინოს. მუქარის აღკვეთის სურვილით შეპყრობილმა ნინომ ლევანი სადილად დაპატიჟა პრობლემის საბოლოოდ გადასაჭრელად. სადილის დროს ლევანმა ნინოს უთხრა, რომ არ იყო დაინტერესებული პრობლემის გადაჭრით, არამედ სურდა, რომ ფული რეგულარულად მიეღო.

როდესაც ლევანი საპირფარეოში გავიდა, ნინომ ლევანს მოკვლის განზრახვით ღვინოში საწამლავი ჩაუყარა. ლევანი დაბრუნდა და ღვინოს რამდენიმე ყლოუპი მოსვა, რამაც თითქმის მაშინვე საშინლად ცუდად გახადა. ნინოს შეეშინდა მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის და მის მიერ დროულად მოყვანილი ექიმის დახმარებით და მისთვის აღიარებით, რომ ლევანს საწამლავი ჩაუყარა, ლევანი გადაარჩინა. ამის მიუხედავად, ლევანს ჯანმრთელობა ხანგრძლივი პერიოდით დაუზიანდა საწამლავის მიღების შედეგად. ნინოს წარედგინა ბრალი მკვლელობის მცდელობასა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში

რა შედეგით დამთავრდება ნინოს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა?

- ა. ვინაიდან ნინომ ხელი აიღო ლევანის მკვლელობის მცდელობაზე, მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა არცერთ დანაშაულზე.
- ბ. ნინოს დაეკისრება პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაზე და არ დაისჯება მკვლელობისთვის, რადგანაც მან ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ბოლომდე დამთავრებაზე.
- გ. ნინოს მიერ ლევანის მოწამლვის მცდელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელდა ლევანის მიერ მისგან ფულის გამოძალვის წინააღმდეგ, ამიტომ მისი ქმედება გამართლებულია.
- დ. რადგან ლევანი გადაარჩა, ნინოს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა არცერთი დანაშაულისთვის.

ტესტი 86

საქართველოს მოქალაქე ნიკა, ოჯახთან ერთად ცხოვრობს პოლონეთში. ის მუშაობდა საქართველოს საელჩოში ატაშედ და სარგებლობს დიპლომატიური იმუნიტეტით. მისმა ცოლმა ამალიამ, რომელიც ასევე საქართველოს მოქალაქეა გააყალბა საბუთი, რომლის მეშვეობითაც მიღებული იქნა ვარშავაში მდებარე ერთ-ერთი კომპანიის მენეჯერად. პოლონეთის პროკურატურამ აღმოაჩინა საბუთის სიყალბე და დაიწყო გამოძიება მის წინააღმდეგ. პოლონეთის პროკურატურის პირველი ნაბიჯი იყო მისი დაკავება დაკითხვის მიზნით მისთვის ბრალის წარდგენამდე, თუმცა დაკითხვაზე ადვოკატის დასწრების მოთხოვნა არ იქნა გათვალისწინებული, რადგან პროკურატურის განცხადებით, პოლონეთის კანონმდებლობით ეს უფლება არ არის გათვალისწინებული ბრალის წარდგენამდე. ამალიამ უარი განაცხადა დაკითხვაში მონაწილეობაზე, რადგან საქართველოს კანონმდებლობით მას ექნებოდა სრული უფლება მოეთხოვა ადვოკატის დასწრება დაკითხვისას.

აქვს თუ არა ამალიას უფლება დაეყრდნოს საქართველოს კანონმდებლობის ნორმას?

- ა. დიახ, რადგან მის ქმარს აქვს დიპლომატიური იმუნიტეტი და მას არ განუცხადებია თანხმობა მასზე პოლონეთის კანონმდებლობის გავრცელების შესახებ.
- ბ. დიახ, რადგან შემდგომი სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში პროკურატურამ უნდა იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- გ. არა, რადგან პოლონეთის კანონმდებლობას, რომელიც აწესრიგებს ბრალის წარდგენამდე პროცედურებს, უპირატესი ძალა აქვთ საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებით.
- დ. არა, რადგან საქართველოს კანონმდებლობა არ მოქმედებს საქართველოს საზღვრებს გარეთ გარდა იმ შემთხვევისა, თუ უცხოური იურისდიქცია მას მიიღებს.

ტესტი 87

ბრალდებულ სიდამონიძეს ბრალად ედებოდა დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენა. სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეცა ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს. ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცესში ბრალდებულ სიდამონიძეს მოუვიდა შელაპარაკება მისი ინტერესების დამცველ ადვოკატთან. ბრალდებულმა დააყენა სასამართლოში შუამდგომლობა ადვოკატის შეცვლასთან დაკავშირებით. მოსამართლემ განაცხადა, რომ ახალი ადვოკატის საქმეში ჩართვას გარკვეული დრო დასჭირდებოდა, თუმცა იგი არ გადადებდა სასამართლო პროცესის დაწყებას. სიდამონიძემ თქვა, რომ ეს მისთვის მისაღები იყო და რომ იგი საკუთარ თავს დაიცავდა ახალი ადვოკატის დანიშვნამდე. მოსამართლემ განაგრძო საქმის განხილვა.

სწორად მოიქცა მოსამართლე, როდესაც სასამართლო პროცესი დაიწყო სიდამონიძის ადვოკატის გარეშე?

- ა. დიახ, ვინაიდან სიდამონიძემ პირდაპირ დათანხმდა, რომ მოსამართლე ასე მოქცეულიყო.
- ბ. დიახ, ვინაიდან სიდამონიძეს სრული უფლება აქვს უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე და დამოუკიდებლად დაიცვას თავი.
- გ. არა, ვინაიდან სიდამონიძეს არ ჰქონდა ადვოკატის აცილების უფლება ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცესის დაწყების შემდეგ.
- დ. არა, ვინაიდან ნაფიცი მსაჯულების წინაშე სასამართლო პროცესის ყველა ეტაპზე ბრალდებულის ადვოკატის ყოლა სავალდებულოა.

ტესტი 88

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებით ეტაპზე ბრალდებულ კაციტადის საქმეზე გამომძიებლად ბეროძე დაინიშნა. სასამართლო პროცესზე ბრალდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა იშუამდგომლა მოსამართლესთან იმ შენობაში დათვალიერების ჩასატარებლად, რომელშიც დანაშაულის ადგილი მდებარეობდა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. სასამართლომ შესაბამის ტერიტორიულ საგამომძიებო ორგანოს დაავალა გამომძიებლის გამოყოფა დათვალიერების ჩასატარებლად. სასამართლოს მიმართა საგამომძიებო ორგანოს ხელმძღვანელი და სთხოვა მას ნებართვა, რომ საგამომძიებო მოქმედებაში ჩაეტარებინა მოცემული სისხლის სამართლის საქმის გამომძიებელ ბეროძეს, რადგან იმ დროს საგამომძიებო ორგანოს თანამშრომლები არ ყოფნია. სასამართლო დაცვის მხარეს ზეპირად შეეკითხა, ხომ არ იყო ამის წინააღმდეგი. აღნიშნულზე ადვოკატმა განუცხადა ზეპირი თანხმობა. შესაბამისად, საგამომძიებო ორგანომ დათვალიერების ჩატარება დაავალა ბეროძეს. როდესაც აღმოჩნდა, რომ დასკვნა კაციტადის სასარგებლო არ იყო, მისმა ადვოკატმა გააპროტესტა და სასამართლოს სთხოვა არ გაეთვალისწინებინა დასკვნა და მოითხოვა დათვალიერების ჩატარება სხვა გამომძიებლის მიერ.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ ადვოკატის პროტესტზე დასკვნის შესახებ?

- ა. უნდა დააკმაყოფილოს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული გამომძიებლის მონაწილეობაზე არ არსებობდა დაცვის მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობა.
- ბ. უნდა დააკმაყოფილოს, ვინაიდან საგამომძიებო ორგანოს თხოვნა წერილობითი შუამდგომლობის ფორმით არ ყოფილა წარდგენილი.
- გ. არ დააკმაყოფილოს, ვინაიდან კაციტადის თანხმობა წარმოადგენს გაპროტესტების უფლების დათმობას.
- დ. არ დააკმაყოფილოს, ვინაიდან სასამართლომ დაუშვა ბეროძის დანიშვნა ღია სასამართლო სხდომაზე, რომელსაც ყველა მხარე ესწრებოდა.

ტესტი 89

სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს, მოწმე, რომელიც წინასწარი გამოძიების დროს გამოიკითხა, სასამართლოს წინაშე გამოცხადდა ჩვენების მისაცემად. ბრალდების მხარის მოწმის პირდაპირ დაკითხვას აწარმოებდა პროკურორი ბერიძე. მოწმეს დაკითხვისას გაუჭირდა საქმისათვის მნიშვნელოვანი ცალკეული იმ გარემოებების აღდგენა, რომლის თვითმხილველიც გახდა დანაშაულის ჩადენის მომენტში. პროკურორმა მიმართა მოსამართლეს მოწმის გამოკითხვის დროს მიღებული ინფორმაციის ნაწილის საჯაროდ წაკითხვასთან დაკავშირებით, რათა მოწმეს აღედგინა ცალკეული ფაქტობრივი გარემოებები, რაც მან გამოკითხვის დროს აღნიშნა. აღნიშნულზე თანხმობა გამოთქვა ასევე მოწმემაც. ბრალდებულის ადვოკატმა გააპროტესტა იმ საფუძველით, რომ ეს დაუშვებელია დაცვის მხარის მიერ მოწმის ჯვარედინი დაკითხვის დასრულებამდე და რომ თუ მოსამართლე დააკმაყოფილებდა პროკურორის შუამდგომლობას, მაშინ გამოკითხვის დროს მიღებული ინფორმაცია მთლიანად უნდა წაკითხულიყო.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოსამართლის დაცვის მხარის პროტესტზე?

- ა. მოსამართლემ უნდა გადადოს ინფორმაციის ნებისმიერი ნაწილის წაკითხვა დაცვის მხარის მიერ მოწმის ჯვარედინი დაკითხვის დასრულებამდე, რადგან სხვაგვარად ჯვარედინი დაკითხვის დროს მოწმის მიერ მიცემული ჩვენება შეიძლება.
- ბ. მოსამართლემ უნდა დააკმაყოფილოს პროკურორის შუამდგომლობა მოწმის გამოკითხვის გზით მიღებული ინფორმაციის ნებისმიერი ნაწილის საჯაროდ წაკითხვა მისი შეხედულებისამებრ, თუმცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაცვის მხარეს მიეცემა მოწმის ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა.
- გ. მოსამართლემ უნდა მისცეს ბრალდების მხარეს უფლება წაეკითხა მოწმის გამოკითხვის ოქმის მის მიერ შერჩეული ნაწილი საჯაროდ დაცვის მხარის მიერ ჯვარედინ დაკითხვამდე.
- დ. მოსამართლემ უნდა მისცეს პროკურორს მოწმის გამოკითხვის გზით მიღებული ინფორმაციის საჯაროდ წაკითხვის უფლება, თუმცა უნდა მოითხოვოს ინფორმაციის სრულად საჯაროდ წაკითხვა, რათა გამოვლინდეს მიცემულ ჩვენებებში რაიმე წინააღმდეგობა.

ტესტი 90

სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს ბრალდების მხარეს წარმოადგენდა ორი პროკურორი - უფროსი პროკურორი მათითაიშვილი და მისი ქვეშევრდომი ჭანტურია. დაცვის მხარეს წარმოადგენდა მხოლოდ ერთი ადვოკატი. მათითაიშვილი ეკამათებოდა მოსამართლეს პროტესტებთან და სასამართლოს განკარგულებებთან დაკავშირებით და ზოგჯერ დაშვებულის ზღვარს გადავიდა. მან რამდენჯერმე მიიღო სხდომის თავმჯდომარისგან შენიშვნა არასათანადო ქცევის შეწყვეტასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა,

პროკურორმა კვლავ განაგრძო წესრიგის დარღვევა. სხდომის თავმჯდომარემ გამოიტანა განკარგულება მათითაიშვილის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გამეგების შესახებ. გამეგებულმა პროკურორმა სასამართლო სხდომის დარბაზის დატოვებისას მოითხოვა სხდომის გადადება მანამ, სანამ იგი გაასაჩივრებდა სხდომის დარბაზიდან გამეგების შესახებ განკარგულებას. თუმცა, მოსამართლემ უარი თქვა სხდომის გადადებაზე და ჭანტურიას დაავალა ბრალდების მხარის წარმოდგენა დღის ბოლომდე. მეორე დღეს სასამართლოს მომდევნო სხდომაზე გამოცხადდა პროკურორი მათითაიშვილიც, რომელიც ძალზე მშვიდად აპირებდა თავისი მოვალეობების შესრულებას. თუმცა, სასამართლომ მოსთხოვა მას სხდომის დარბაზის დაუყოვნებლივ დატოვება.

კანონიერია მოსამართლის მოქმედება, როდესაც მან მათითაიშვილი სხდომის დარბაზიდან გააძევა და საქმის განხილვა განაგრძო?

ა. დიახ, სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვა მოსამართლის მოვალეობაა და მას შეუძლია დარბაზიდან გააძევოს პროკურორი საქმის განხილვის დასრულებამდე, რომელიც გაფრთხილების მიუხედავად არღვევს წესრიგს. ამასთან, მოსამართლეს შეუძლია გადაწყვეტოს განაგრძოს საქმის განხილვა, თუ დარბაზში იმყოფება სხვა პროკურორი, რომელმაც შეიძლება შეასრულოს გამეგებულ პროკურორის ფუნქცია.

ბ. დიახ, ვინაიდან მათითაიშვილის ცუდი ქცევით დაირღვა მისი ეთიკური ვალდებულებები სასამართლოს წინაშე და მოსამართლე ვალდებულია მოხსნას იგი საქმიდან მანამ, სანამ დისციპლინური წარმოება გაიმართება შესაბამისი დისციპლინური ორგანოების წინაშე.

გ. არა, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ მათითაიშვილი კანონიერად იქნა გამეგებული, სხდომის თავმჯდომარე ვალდებული იყო შეეჩერებინა არსებითი განხილვა მანამ, სანამ სააპელაციო ორგანო განიხილავდა და გადაწყვეტილებას მიიღებდა მათითაიშვილის საჩივარზე.

დ. მიუხედავად იმისა, რომ მათითაიშვილი კანონიერად იქნა გამეგებული, სხდომის თავმჯდომარეს უფლება არ ჰქონდა ქვემდგომი პროკურორისთვის დაევალებინა უფროსი პროკურორის არყოფნის დროს მისი მოვალეობების შესრულება.

ტესტი 91

საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიმდინარეობდა გამოძიება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ განხილული საქმის ერთ-ერთი მხარისგან განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქრთამის აღების ფაქტზე. გამოძიების პროცესში, რომელიც 10 თვე მიმდინარეობდა, შეკრებილ იქნა საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე ადასტურებდნენ მოსამართლის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენას. საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორმა მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მოსამართლის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე თანხმობის მიღების მოთხოვნით. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მოწვეულ იქნა პლენუმის სხდომა, რომელზეც გადაწყდა, რომ პროკურორისათვის თანხმობა მიეცათ მოსამართლის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე. პლენუმის გადაწყვეტილებიდან სამი თვის შემდეგ, პროკურორმა წარუდგინა ბრალი და დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ქრთამის აღების ბრალდებით.

ქვემოთ ჩამოთვლილიდან, რომელია მოსამართლის ყველაზე ძლიერი არგუმენტი, რომ მის მიმართ ბრალი არაკანონიერად იქნა წარდგენილი?

ა. რომ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პროკურატურის გამოძიების დაწყებიდან ცხრა თვეზე მეტი პერიოდის გასვლის შემდეგ.

ბ. რომ მოსამართლის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა არ იქნა მიღებული.

გ. რომ პროკურორს პირდაპირ პლენუმისათვის არ მიუმართავს თანხმობის მისაღებად.

დ. რომ მოსამართლის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ პლენუმის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი თვე ლოდინის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის ვადა ამოიწურა..

ტესტი 92

გაუპატიურების ბრალდებით სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას, დაცვის მხარემ თვითმიზილველ მოწმედ გამოიძახა ქალი, რომლის ჩვენება ეწინააღმდეგება დანაშაულში დაზარალებულის უკვე მიცემულ ჩვენებას. საქმემ დიდი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია და მოწმე ძალიან ნერვიულობდა ისეთი ჩვენების მიცემის გამო, რომელიც არაპოპულარული ბრალდებულის სასარგებლო იყო. იმის შიშით, რომ მოწმე დაიძაბებოდა დარბაზში მყოფი თავისი მეგობრებისა და მეზობლების გამო, დაცვის მხარემ იშუამდგომლა მოსამართლესთან სხდომის ნაწილის დახურვასთან დაკავშირებით საზოგადოების ყველა წარმომადგენლისთვის.

მოსამართლემ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა და სხდომის ის ნაწილი, რომლის დროსაც დაცვის მხარის ერთ-ერთი მოწმე უნდა დაკითხულიყო გამოაცხადა დახურულად ყველასთვის, გარდა დაზარალებულისა, რომლის დარბაზიდან გაშვებაზე მოსამართლემ უარი განაცხადა. დაცვის მხარემ გააპროტესტა სასამართლოს მიერ დაზარალებულის დარბაზიდან გაშვებაზე უარი.

კანონიერია სასამართლოს განკარგულება სხდომის ნაწილობრივ დახურვისა და დაზარალებულის სხდომაზე დაშვების შესახება?

ა. არა, ვინაიდან სასამართლოს მიერ სხდომის ნაწილობრივ დახურვის თავისი დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას, სასამართლომ დარბაზში არ უნდა დაუშვას არცერთი პირი, რომლის დარბაზიდან გაშვებასაც ითხოვს შუამდგომლობის დამყენებელი მხარე.

ბ. არა, ვინაიდან სასამართლომ შეიძლება დაუშვას დაზარალებული დახურულ სასამართლო სხდომაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო პროცესის ყველა სხდომა სრულად დახურულია.

გ. დიახ, ვინაიდან დაზარალებულს აქვს სრული უფლება დაუპირისპირდეს მისი საწინააღმდეგო მხარის მოწმეს.

დ. დიახ, ვინაიდან მოსამართლე უფლებამოსილია სხდომის ნაწილობრივ დახურვის მიუხედავად მისცეს დაზარალებულს სხდომაზე დასწრების უფლება.

ტესტი 93

ნარკოტიკებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი მარუაშვილის თვალთვალის დროს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა დაინახეს თუ როგორ ხვდებოდა იგი რამდენიმე კაცს და ქალს რესტორნის კუთხეში მაგიდასთან. ყოველ ჯერზე მარუაშვილი ქურთუკის შიდა ჯიბიდან პატარა პაკეტებში დაფასოებულ თეთრ ფხვნილს იღებდა და მას ფულში ცვლიდა. პოლიციელები მარუაშვილს მიუახლოვდნენ და უთხრეს, რომ დაკავებული იყო ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო გასაღების ფაქტზე. დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებმა იგარაუდეს, რომ მარუაშვილს თან კიდევ ექნებოდა გარკვეული რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება, რომლის მოშორებასაც იგი შეეცდებოდა. ამ მიზეზით, დაკავებისას ჩატარდა ამ უკანასკნელის პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოღებულ იქნა 30 გრამის ოდენობის თეთრი ფხვნილი, დაფასოებული პატარა პაკეტებში, რომელიც შემდგომი ანალიზის შედეგად აღმოჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი. პოლიციელებმა შეადგინეს დაკავების ოქმი, სადაც აღინიშნა ასევე, პირის პირადი ჩხრეკისა და ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებების თაობაზე. პოლიციის განყოფილებაში სხვა პოლიციელმა ასევე შეადგინა ცალკე დაპატიმრების ოქმი . თუმცა, ერთადერთი ოქმი, რომელშიც ნათქვამი იყო ჩხრეკისა და ნივთიერი მტკიცებულების ამოღების შესახებ, დაკავების ოქმი იყო. იმ მიზეზით, რომ სისხლის სამართლის საქმეში ცალკე არ არსებობდა მარუაშვილის პირადი ჩხრეკის ოქმი, წინასასამართლო შუამდგომლობით ბრალდებული მარუაშვილის ადვოკატმა მოითხოვა პირადი ჩხრეკის უკანონოდ ცნობა და ასევე მის შედეგად მოპოვებული ნარკოტიკული ნივთიერებების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ ადვოკატის მოთხოვნაზე?

ა. დააკმაყოფილოს შუამდგომლობა, ვინაიდან როდესაც ჩხრეკა ხდება წინასწარი სასამართლო განკარგულების გარეშე, პირად ჩხრეკაზე უნდა შედგეს და ხელი მოეწეროს ცალკე ოქმი დაკავების ოქმთან ერთად.

ბ. დააკმაყოფილოს შუამდგომლობა,, ვინაიდან არ არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი მარუაშვილის ჩხრეკისთვის დაკავების ადგილას და სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩატარებული ნებისმიერი პირადი ჩხრეკისთვის აუცილებელი იქნებოდა ცალკე ოქმის შედგენა ჩხრეკაზე.

გ. არ დააკმაყოფილოს შუამდგომლობა, ვინაიდან პოლიციელებს არ სჭირდებოდათ საფუძვლიანი ეჭვი მარუაშვილის გასაჩხრეკად დაკავების ადგილას და ამდენად, არ ქონდათ ცალკე ჩხრეკის ოქმის შედგენის ვალდებულება.

დ. არ დააკმაყოფილოს შუამდგომლობა, ვინაიდან არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მარუაშვილი მოიშორებდა მტკიცებულებებს, ამდენად საკმარისი იყო პირადი ჩხრეკის აღწერა დაკავების ოქმში ცალკე პირადი ჩხრეკის ოქმის შედგენის გარეშე.

ტესტი 94

ანდლულაძე ბრალდებულია ახალი ნარკოტიკის დამზადებისა და გასაღებისათვის, რომელიც პროკურატურის აზრით უკანონო ფსიქოაქტიურ ნივთიერებას შეიცავდა. ანდლულაძე ამტკიცებდა, რომ ნარკოტიკში შემავალი ნივთიერება კანონიერი ნივთიერებების კანონისმიერ დეფინიციაში ხვდებოდა. საქმეზე მტკიცებულებების გაცვლის ეტაპზე ბრალდებულის ადვოკატმა მამალაძემ წარმოადგინა წერილობითი დოკუმენტი, რომლის შესახებაც მანამდე არ უცნობებია სასამართლოსთვის. დოკუმენტი შეეხებოდა სამეცნიერო კვლევას, რომელმაც დაადგინა, რომ განხილული ნივთიერება იყო დეპრესიის მკურნალობისთვის განკუთვნილი კანონიერი მედიკამენტი. თუმცა, მამალაძემ უარი განაცხადა პროკურორისთვის დოკუმენტის წარმომავლობისა და წყაროს

შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, განაცხადა რა, რომ ამის დადგენა პროკურორის მოვალეობა იყო. მამალაძემ აღნიშნა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შეჯიბრებითობის პრინციპი შეილახებოდა, რომლის მიხედვითაც თითოეულ მხარეს ენიჭება უფლება საქმეზე თავისი პოზიციის წარმოსადგენად თავად განსაზღვროს საშუალებები. წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე დაინტერესდა დოკუმენტით და ადვოკატს მოსთხოვა მის მიერ სასამართლოში წარდგენილი წერილობითი დოკუმენტის წარმომავლობის შესახებ ინფორმაცია.

ვალდებულია მამალაძე მოსამართლეს მიაწოდოს ეს ინფორმაცია?

- ა. დიახ, თუ კანონიერია, ეს დოკუმენტი სავარაუდოდ გადაწყვეტი იქნება საქმის შედეგისთვის.
- ბ. დიახ, ვინაიდან მოსამართლე უფლებამოსილია მოითხოვოს ამ ინფორმაციის მიწოდება და იგი მას დაეხმარება პროკურორის შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღებაში.
- გ. არა, ვინაიდან მოსამართლე არ არის უფლებამოსილი დაარღვიოს შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელსაც მამალაძე ეყრდნობა.
- დ. არა, ვინაიდან დაცვის მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლობის მტკიცება პროკურორის მოვალეობაა.

ტესტი 95

არდია თბილისში ერთ-ერთ გაჩერებაზე ავიდა მიკროავტობუსში, რომელსაც 15 სტუდენტი გადაყავდა ბათუმში მდებარე სკოლიდან თბილისში სასკოლო ღონისძიებაზე. არდია თავს დაესხა რამდენიმე სტუდენტს და იარაღის მუქარით წაართვა ელექტრონული მოწყობილობები და ფული. არდია შემთხვევიდან, სამართალდამცავების მიერ მალევე იქნა იდენტიფიცირებული და დაკავებული თბილისში ორი მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ერთი იყო მოვაჭრე, რომელმაც დაინახა, თუ როგორ გადმოხტა არდია მიკროავტობუსიდან, ხოლო მეორე - ლომბარდის თანამშრომელი, რომელთანაც არდია ცდილობდა ნაძარცვის დაგირავებას. მას მეორე დღეს წაუყენეს ბრალი და წარედგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიკროავტობუსის მძღოლი, სტუდენტებთან ერთად მყოფი მასწავლებელი და ყველა სტუდენტი. მიკროავტობუსის მძღოლი, ყველა სტუდენტი და მათთან ერთად მყოფი მასწავლებელი იყო ბათუმის მაცხოვრებელი და ბრალდების მხარე აპირებდა ბათუმისა და თბილისის მაცხოვრებელი ყველა მოწმის გამოძახებას საქმეზე ჩვენების მისაცემად. ამიტომ, პროკურორმა იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან, რომ საქმე განსახილველად გადაეცმოდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო პროკურორის შუამდგომლობაზე?

- ა. შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდება, ვინაიდან იგი წარედგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, როდესაც უნდა წარდგენილიყო ბათუმის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან.
- ბ. შუამდგომლობა დაკმაყოფილდება,, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილი იყო მიეღო ტერიტორიული განსჯადობის შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილება და ნაკლები საპროცესო ხარჯების გაწევის თვალსაზრისით, პროცესის ბათუმში ჩატარება უფრო მიზანშეწონილია.
- გ. შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში განმსაზღვრელი ფაქტორი ის არის, რომ არდიას იდენტიფიცირება და დაკავება მოხდა თბილისის მაცხოვრებელ მოწმეთა მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
- დ. შუამდგომლობა დაკმაყოფილდება, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს ვალდებულია გაითვალისწინოს პროკურორის მოსაზრება.

ტესტი 96

მარტა შეესწრო სასტიკ მკვლელობას, რომელიც, მისი განცხადებით, ხანჯლის მავგარი იარაღით განხორციელდა. მარტამ იარაღის მხოლოდ ბუნდოვანი აღწერა შეძლო, თუმცა აღნიშნა, რომ მისი ტარი ძვირფასი თვლებით იყო მორთული. პოლიციამ მკვლელობის იარაღი ვერ იპოვნა, თუმცა მოგვიანებით იატაგანს მიაგნო სისხლის მსგავსი კვალით, რომელიც დაზარალებულის სისხლის ჯგუფს შეესაბამებოდა. იატაგანი არაქიანს ეკუთვნოდა, რომელიც დააკავეს და ბრალი წარუდგინეს. პროკურორმა მარტას იატაგანის შავთეთრი ფოტო უჩვენა, რომელზეც მარტამ თქვა, რომ მკვლელობა მსგავსი იარაღი გამოიყენა, თუმცა იგი დარწმუნებული არ იყო. მარტა დათანხმდა სამი მსგავსი იარაღის ფიზიკურ დათვალიერებაში მონაწილეობის მიღებას მკვლელობის იარაღის ამოცნობის მიზნით. პროკურორმა მარტას უთხრა, რომ მის არჩევანზე ზეგავლენის მოხდენა არ სურდა, თუმცა „ფაქტიურად დარწმუნებული“ იყო, რომ მის მიერ მარტასთვის ფოტოზე ნაჩვენები იატაგანი მკვლელობის იარაღი იყო.. მარტა ამოცნობაზე გამოცხადდა და სამი ერთი და იგივე ფორმისა და ზომის იატაგანი დაათვალიერა, თუმცა ძვირფასი თვლებით მორთული მათგან მხოლოდ ის იატაგანი იყო, რომლის ფოტოც მას პროკურორმა უჩვენა. მან სწორედ ამ იატაგანზე მიუთითა და თქვა: „ეს უნდა იყოს მკვლელობის იარაღი, რადგან თვლებით მორთულია“.

არაქიანის ადვოკატმა იშუამდგომლა სასამართლოსთან მარტას მიერ ამოცნობის დაუშვებლად ცნობის შესახებ იმ საფუძველით, რომ იგი არაკანონიერად განხორციელდა.

ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია არაქიანის ყველაზე ძლიერი არგუმენტი მარტას მიერ ამოცნობის მტკიცებულებად არ დაშვების შესახებ შუამდგომლობის დასასაბუთებლად?

- ა. ის, რომ მარტას აღარ ქონდა ობიექტის ხელმოწერა ამოცნობის უფლება, რადგან მას ამ ობიექტის ამოცნობა უკვე ფოტოსურათის საშუალებით სთხოვეს.
- ბ. ის, რომ პროკურორის მიერ მარტასთვის ფოტოსურათის პირველად ჩვენება არაკანონიერი იყო, რადგან არ არსებობდა საფუძველი იმისთვის, რომ თავად ობიექტი არ წარედგინათ მისთვის ამოსაცნობად.
- გ. ის, რომ პროკურორის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი „ფაქტობრივად დარწმუნებული“ იყო, რომ ფოტოსურათზე აღბეჭდილი იატაკი იყო მკვლელობის იარაღი, წარმოადგენს არაკანონიერ მინიშნებას.
- დ. ის, რომ პროკურორმა მარტას თავიდანვე არ უჩვენა სამი მსგავსი იატაკის ფოტოსურათი.

ტესტი 97

კუჭუხიძე პოლიციის მიერ დაკავებული იქნა საკუთარ საცხოვრებელში, რა დროსაც განაცხადა, რომ თავს ცუდად გრძობდა. დაკავების შემდეგ იგი გადაყვანილი იქნა პოლიციის განყოფილებაში, სადაც მას თავისი მოთხოვნის შესაბამისად ჩაუტარდა უფასო სამედიცინო შემოწმება. გამოიძახეს ექიმი, რომელმაც კუჭუხიძე გასინჯა და თქვა, რომ მას მოგვიანებით გამოუგზავნიდა შესაბამის წერილობით დასკვნას. 3 დღის შემდეგ კუჭუხიძეს არ ქონდა მიღებული ექიმის დასკვნის ასლი და კვლავ ცუდად გრძობდა თავს. რადგან მას არ ქონდა მიღებული ექიმის დასკვნა და არ იცოდა რა სჭირდა, მან კვლავ მოისურვა უფასოდ სამედიცინო შემოწმება, თუმცა ამჯერად მის მიერ შერჩეული ექიმის მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით საქმეზე დანიშნულმა გამომძიებელმა კუჭუხიძეს განუმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ექიმის შერჩევის უფლება ქონდა, მისი მომსახურების საფასური თავად უნდა გადაეხადა. რამდენიმე დღის შემდეგ კუჭუხიძემ მიიღო პირველი ექიმის წერილობითი დასკვნა.

სწორია გამომძიებლის განმარტება?

- ა. არა, ვინაიდან პირველმა ექიმმა სამედიცინო დასკვნის ასლი დაუყოვნებლივ არ მიაწოდა კუჭუხიძეს.
- ბ. დიახ, ვინაიდან კუჭუხიძეს, როგორც ბრალდებულს დაკავების შემდეგ აქვს უფლება ჩაუტარდეს სამედიცინო შემოწმება მხოლოდ უფასოდ.
- გ. არა, ვინაიდან კუჭუხიძე ისევ ცუდად გრძობდა თავს პირველი სამედიცინო შემოწმების შემდეგ, მისი ცუდად ყოფნის ფაქტი უკავშირდება პირველ უფასო სამედიცინო შემოწმებას.
- დ. არა, ვინაიდან კუჭუხიძემ საბოლოო ჯამში და დროულად მიიღო პირველი ექიმის წერილობითი სამედიცინო დასკვნა.

ტესტი 98

ზარნაძე დააკავეს და ბრალად წარუდგინეს ძარცვა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება. მან თავი დამნაშავედ სცნო ორივე ბრალდებით. პირველი ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ ცნო და დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი ორივე ბრალდებით. დაცვის მხარე არ დაეთანხმა სასამართლოს განაჩენს და სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სადაოდ გახადა განაჩენი ძარცვის ნაწილში, სადაც მსჯავრდებული თავს უდანაშაულოდ მიიჩნევდა. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ უცვლელად დატოვა გასაჩივრებული განაჩენი. დაცვის მხარემ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მიიჩნია უკანონოდ და გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. საკასაციო წესით, საქმის განხილვისას ბრალმდებელმა ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი თქვა ზარნაძესთვის წარდგენილ ბრალდებაზე ძარცვის ნაწილში და წარმოების შეწყვეტის შესახებ იშუამდგომლა. თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ პროკურორს უარი განუცხადა აღნიშნული უფლებით სარგებლობაზე და განაგრძო საქმის განხილვა.

კანონიერია საკასაციო პალატის მიერ სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ პროკურორის შუამდგომლობის არ დაკმაყოფილება?

- ა. დიახ, ვინაიდან პროკურორი სარგებლობს ბრალდებაზე უარის თქმის უფლებით მხოლოდ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის ეტაპზე, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე.
- ბ. არა, ვინაიდან პროკურორს უფლება აქვს ისარგებლოს ბრალდებაზე ან მის ნაწილზე უარის თქმის უფლებით ყველა ინსტანციაში, მათ შორის საკასაციო წესით საქმის განხილვის ეტაპზე, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.
- გ. დიახ, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ პროკურორი აღარ

სარგებლობს ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე უარის თქმის უფლებით.

დ. არა, ვინაიდან პროკურორს ბრალდებაზე ან მის ნაწილზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება დამოწმებული იყო ზემდგომი პროკურორის მიერ.

ტესტი 99

პროკურატურამ სასამართლოს მიმართა განჩინების მისაღებად, რომ ყენიას მიმართ ეწარმოებინა ფარული გამოძიება, როგორც მეზობელი ქვეყნიდან სექსუალური ტრეფიკინგის მიზნით ახალგაზრდა ქალების შემოყვანაში ეჭვმიტანილი პირის მიმართ. პროკურატურის შუამდგომლობა აკმაყოფილებდა ყველა კანონისმიერ მოთხოვნას ფარული გამოძიების დასაწყებად და ამიტომ, სასამართლომ გამოსცა შესაბამისი განჩინება. განჩინება ასევე ითვალისწინებდა სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასაც. მიყურადებული სატელეფონო საუბრების უმეტესობა ადასტურებდა სექსუალური ტრეფიკინგის ეჭვს, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა აგრეთვე გამოავლინა, რომ ყენია ჩართული იყო ადგილობრივად მეტამფეტამინის დამზადებაში, რაზეც სასამართლოს განჩინება არ ვრცელდებოდა. გამომძიებლის მიერ სატელეფონო საუბრების მიყურადების შედეგად მოპოვებული ამ ინფორმაციის საფუძველზე, პროკურატურამ დაიწყო ახალი გამოძიება და გახსნა ახალი საქმე ყენიას მიმართ ნარკოტიკული საშუალებების დამზადებასთან დაკავშირებით. გამომძიებელმა განაგრძო მტკიცებულებების მოძიება ახალი საქმისთვის სატელეფონო მიყურადების საშუალებით, რომელიც უკავშირდებოდა განჩინებას სექსუალური ტრეფიკინგის საქმეზე. სატელეფონო მიყურადება დასრულდა სასამართლოს განჩინებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით. მოგვიანებით ყენიას ბრალი წარუდგინეს მეტამფეტამინის უკანონო დამზადებისა და გასაღებისთვის. წინასასამართლო შუამდგომლობით ყენიას ადვოკატმა მოითხოვა მეტამფეტამინის საქმეზე მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა იმ საფუძველით, რომ ისინი უკანონოდ იქნა მოპოვებული სატელეფონო საუბრების მიყურადების დროს.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შესახებ ყენიას შუამდგომლობაზე?

ა. დააკმაყოფილოს, ვინაიდან სასამართლოს განჩინება სექსუალური ტრეფიკინგის საქმეზე სატელეფონო საუბრების მიყურადების შესახებ არ იძლევა სხვა მიზნისთვის სატელეფონო საუბრის მიყურადების ნებართვას.

ბ. არ დააკმაყოფილოს, ვინაიდან პროკურორს უფლება აქვს გამოიყენოს მეტამფეტამინის დამზადების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულია სატელეფონო საუბრების მიყურადების შედეგად, ახალი განჩინების მიღების გარეშე მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს არსებული განჩინება მხოლოდ სექსუალური ტრეფიკინგის საქმეს შეეხება.

გ. დააკმაყოფილოს, ვინაიდან სატელეფონო საუბრების მიყურადებით გამოვლინდა მეტამფეტამინის დამზადების ფაქტი, რაც პროკურორს ავალდებულებს აცნობოს სასამართლოს ამის შესახებ და მიიღოს ნებართვა.

დ. არ დააკმაყოფილოს, ვინაიდან მეტამფეტამინის შესახებ უნებლიედ უკავშირდებოდა იმ ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც დასაშვები იყო ფარული გამოძიების საშუალებით.

ტესტი 100

ხასიას ბრალი ედებოდა ყალბი სასაქონლო ნიშნის მქონე პროდუქციის შენახვა და გასაღება. იგი არ გამოცხადდა პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე და მისი პოვნა ვერ მოხერხდა. სასამართლომ განიხილა ბრალდებულის დაუსწრებლად ხასიას სისხლის სამართლის საქმე და იგი დამნაშავედ ცნო მისთვის წარდგენილ ყველა ბრალდებაში. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ დადგინდა მსჯავრდებულ ხასიას ადგილსამყოფელი და იგი იქნა დაპატიმრებული. ხასიამ განაცხადა, რომ სასამართლოს წინაშე იმიტომ არ გამოცხადდა, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოგზაურობდა გამამართლებელი მტკიცებულებების მოძიების მიზნით და სწორედ ამიტომ არ იყო ხელმისაწვდომი სასამართლო პროცესის დროს. თუმცა, მან აღნიშნა, რომ ახლა ფლობდა ასეთ მტკიცებულებებს და ისინი სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა თავის სააპელაციო საჩივართან ერთად განსახილველად. აპელანტი გამოცხადდა სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის წინაშე და განაცხადა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ცალკეული მტკიცებულებები მიკერძოებით და კანონის არსებითი დარღვევით იქნა გამოკვლეული. შესაბამისად, ხასიამ იშუამდგომლა ყველა მტკიცებულების, როგორც პირველ ინსტანციაში უკვე გამოკვლეული, ისე ახალი მტკიცებულებების გამოკვლევა. სააპელაციო სასამართლო დათანხმდა ახალი მტკიცებულებების გამოკვლევაზე, თუმცა უარი თქვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევაზე იმ მიზეზით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მტკიცებულებები არ ყოფილა კანონის არსებითი დარღვევით გამოკვლეული.

კანონიერია სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის უარი, მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევისასთან დაკავშირებით?

- ა. არა, ვინაიდან პირველ ინსტანციაში სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებები წარმოადგენს სააპელაციო საჩივრის ნაწილს და სააპელაციო სასამართლო ვალდებულია ხელახლა გამოიკვიოს ისინი.
- ბ. დიახ, ვინაიდან სააპელაციო წესით საქმის განხილვისას სასამართლომ დაადგინა, რომ პირველ ინსტანციაში მტკიცებულებების გამოკვლევა კანონიერად მოხდა.
- გ. დიახ, ვინაიდან ხასია საკუთარი ნებით არ იღებდა მონაწილეობას საქმის პირველ ინსტანციაში განხილვაში, შესაბამისად მან დათმო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებების გამოკვლევის გასაჩივრების უფლება.
- დ. არა, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი გამოიტანა ბრალდებულის დაუსწრებლად და ხასია აქტიურად მონაწილეობდა საქმის სააპელაციო წესით განხილვაში.

ტესტების შემუშავების საფუძვლები:

საკონსტიტუციო სამართალი

ტესტი 1

საფუძველი: საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 2, პუნქტი 2

ტესტი 2

საფუძველი: საქართველოს კონსტიტუცია 21-ე მუხლი

ტესტი 3

საფუძველი: საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლი მე-2 პუნქტი

ტესტი 4

საფუძველი: საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის ვ2 პუნქტით.

ტესტი 5

საფუძველი: საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლი მე-4 პუნქტი

ტესტი 6

საფუძველი: საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 36⁴-ე მუხლის 21 პუნქტი.

ტესტი 7

საფუძველი: საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლი პირველი პუნქტი „თ“ ქვეპუნქტი

ტესტი 8

საფუძველი: საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი პირველი პუნქტი

საერთაშორისო სამართალი

ტესტი 9

საფუძველი: ბავშვის უფლებათა კონვენცია (მუხლი 1)

ტესტი 10

საფუძველი: ბავშვის უფლებათა კონვენცია (მუხლი 2.1.)

დისკრიმინაცია.

ტესტი 11

საფუძველი: ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლი 14, პუნქტი 3.

ტესტი 12

საფუძველი: ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლი 13, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

ტესტი 13

საფუძველი: (ICCPR. მუხლი 9.2)

ტესტი 14

საფუძველი: (ICCPR. მუხლი 4,1 და 4.2.; 7)

ტესტი 15

საფუძველი: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-21 მუხლი.

ტესტი 16

საფუძველი: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მუხლი 28, 41,1 პუნქტი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

ტესტი #17

საფუძველი: (სზაკ მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი)

ტესტი #18

საფუძველი: (სზაკ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი)

ტესტი #19

საფუძველი: სზაკ მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი

ტესტი #20

საფუძველი: სზაკ 106¹-ე მუხლის მე-2 ნაწილი

ტესტი #21

საფუძველი: სზაკ 115-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები

ტესტი #22

საფუძველი: სზაკ 121-ე მუხლი

ტესტი #23

საფუძველი: (სზაკ მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და 182-ე მუხლი, პირველი ნაწილის, „ვ“ ქვეპუნქტი)

ტესტი 24

საფუძველი: (სზაკ 29-ე მუხლი)

ტესტი 25

საფუძველი: (სზაკ 170-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

ტესტი #26

საფუძველი: (სზაკ 58-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

ტესტი #27

საფუძველი: (სზაკ 110-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები და 120-ე მუხლის პირველი ნაწილი)

ტესტი #28

საფუძველი: სზაკ 55-ე მუხლის მე-2 ნაწილი

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

ტესტი #29

საფუძველი: (სასკ მე-12 მუხლის 1 და მე- ნაწილები)

ტესტი #30

საფუძველი: (სასკ 23-ე მუხლის 1 და მე-2 ნაწილები)

ტესტი #31

საფუძველი: (სასკ მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი)

ტესტი #32

საფუძველი: (სასკ მე-13^ა მუხლის პირველი ნაწილი)

ტესტი #33

საფუძველი: (სასკ მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი)

ტესტი #34

საფუძველი: (სასკ მე-9 მუხლის პირველი ნაწილი)

ტესტი #35

საფუძველი: (სასკ მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი)

ტესტი #36

საფუძველი: (სასკ 33-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

ტესტი #37

საფუძველი: (სასკ მე-19 მუხლის პირველი ნაწილი)

ტესტი #38

საფუძველი: (სასკ 26^ა-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

ტესტი #39

საფუძველი: (სასკ 27-ე მუხლი)

ტესტი #40

საფუძველი: (სასკ 28^ა-ე მუხლი)

სამოქალაქო სამართალი

ტესტი 41

საფუძველი: სკ 493.1

ტესტი 42

საფუძველი: სკ 992, 175

ტესტი 43

საფუძველი: სკ 992, 412

ტესტი 44

საფუძველი: სკ 992, 415

ტესტი 45

საფუძველი: სკ 997

ტესტი 46

საფუძველი: სკ 188.2.

ტესტი 47

საფუძველი: სკ 1329.

ტესტი 48

საფუძველი: სკ 12.6. 58.1

ტესტი 49

საფუძველი: სკ 403.2.

ტესტი 50

საფუძველი: სკ 1160.2.

ტესტი 51

საფუძველი: სკ 116

ტესტი 52

საფუძველი: სკ 276

ტესტი 53

საფუძველი: სკ291

ტესტი 54

საფუძველი: სკ 419.1

ტესტი 55

საფუძველი: სკ542

ტესტი 56

საფუძველი: სახელმწიფო სამართალი

ტესტი 57

საფუძველი: სანივთო სამართალი

სამოქალაქო სამართლის პროცესი

ტესტი 58

საფუძველი: სსკ 73.8

ტესტი 59

საფუძველი: სსკ 31 (1), „დ“

ტესტი 60

საფუძველი: სსკ 246

ტესტი 61

საფუძველი: სსკ 266

ტესტი 62

საფუძველი: სსკ - 275, 278

ტესტი 63

საფუძველი: სსკ232

ტესტი 64

საფუძველი: სსკ 378.1³ და 378.2

ტესტი 65

საფუძველი: სსკ377.3

ტესტი 66

საფუძველი: სსკ 59.2

ტესტი 67

საფუძველი: სსკ 83.4

ტესტი 68

საფუძველი: სსკ 84

ტესტი 69

საფუძველი: სსკ 239

ტესტი 70

საფუძველი: სსკ104

სისხლის სამართალი

ტესტი 71

საფუძველი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 314-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

ტესტი 72

საფუძველი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

ტესტი 73

საფუძველი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის 2-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

ტესტი 74

საფუძველი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლი

ტესტი 75

საფუძველი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 9-10 -ე მუხლები; 19,109-ე მუხლის 2-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილი,)

ტესტი 76

სწორი პასუხები

1	ბ	26	ა	51	ბ	76	ბ
2	ბ	27	დ	52	ბ	77	ბ
3	ბ	28	ბ	53	ა	78	ბ
4	ბ	29	ბ	54	ბ	79	ა
5	ბ	30	ა	55	დ	80	ა
6	დ	31	დ	56	ბ	81	ბ
7	ბ	32	ბ	57	ბ	82	დ
8	ბ	33	ბ	58	ბ	83	დ
9	დ	34	ა	59	დ	84	ა
10	ბ	35	დ	60	ბ	85	ბ
11	ბ	36	ბ	61	ბ	86	ა
12	ბ	37	ბ	62	ბ	87	დ
13	ბ	38	ა	63	ბ	88	ა
14	ბ	39	დ	64	ბ	89	ბ
15	ბ	40	ბ	65	ბ	90	ა
16	ბ	41	ბ	66	ა	91	ბ
17	ბ	42	ა	67	დ	92	დ
18	ა	43	ბ	68	დ	93	დ
19	დ	44	ბ	69	დ	94	ბ
20	ბ	45	ა	70	დ	95	ბ
21	ბ	46	ა	71	დ	96	ბ
22	ა	47	ბ	72	ბ	97	ბ
23	დ	48	ა	73	ა	98	ბ
24	ბ	49	ბ	74	ბ	99	ბ
25	ბ	50	ბ	75	ა	100	დ